

ჭვიად ვაშლიყრამ



№1 (23).
2006 წლის
იანვარი

საიდან იწყება სამშობლოს სიყვარული?! ალბათ რიონის ქვედა დინების სისწრაფიდან, მტკვრის დარბაისლური დღეებიდან, ენგურისა და თერგის თავაწვევტილი თავდავიწყებიდან, მზის სხივები ერთმანეთთან თამაშში რომ ბრჭყვიალებენ და ასარკებენ წყლის ზედაპირს, თან ქვების ქვირ გულს რომ ათობენ; იქნებ სვანური კოშკის კენწეროდან სიმაღლეების აღმაფრენით აღტაცებული და ჯიხვის რქაში ჩაწურული ქართული სისხლის მომუშავეებიდან - ლოცვა რომა სადღევრძელოში ჩამოძვრწილი და ენა-მჭვერით გადმოცემული; სვეტიცხოვლის საძირკველში წმიდა სიღონის მკლავებში განსვენებული ჩვენთვის წილად რგუნებული მაცხოვრის კვართიდან, ხელისგულივით პატარა, მაგრამ უკიდევანო სიყვარულიდან, ტიციანი რომ იტყოდა: „ნეტა სადა აქვს ამ ზვარებს ბოლო, ვინ დარვო ერთად აძლენი ვაზი, სჯობს ადარ გქონდეს სულაც სამშობლო, ანდა არ იყოს ასე ლამაზი“.

მ. პაჭახიძე, მე-2 კვერდზე

მრავალ ახალ წელს!



როგორ მომნატრებია თოვლი... ახლა ფანჯარასთან ვდგავარ და თეთრი ფანტელების ცეკვას ვუცქერ. მგონია, რომ ნაცრისფერ ცას მომწყდარი ფიფქები მხოლოდ დაბლა დაშვებისას თეთრდებიან. მჯერა, რომ თითოეულ ფიფქს ბგერები მოაქვს ციდან და შენს მესხიერებაში ცდილობ, რომ ახუნძლო ეს ბგერები...
წლებანდელ პირველფიფქობაზე მე ჯილდა დათუაშვილი გამახსენდა... მისი სიმღერით...
„თოვლი მოსულა ამ დილით, რაღაც ახალი იწყება, არა ყოფილა ადვილი, ფიქრებთან მარტო დარჩენა“.
გარეთ ისევ თოვს... თვალსაწიერი ფიქრებითა და ფაფუკი თოვლით დაფარულა, შიო მღვიმელის სიტყვებიც მახსენდება, „თეთრ საბნის ქვეშ გაყინული არემარე დაღვრემილა“.
მეც მოვიწყინე! რას არ გავილებდი, რას არ გავცემდი, რომ ახლა ნიუ ჯერსის კი არა, ჩემი ქვეყნის, ჩემი დედათბილისის დათოვლილ სახლებს ვხედავდე, თეთრად დახატულ რუსთაველის გამზირს, მხრებდათოვლილ გორგასალოს, ბამბით მორთულ მთაწმინდას... და ქუდ-კაშნეთი შეფუთნულ ქართულ სახეებს...
ჩემი თბილისი ყველაზე ლამაზი პირველი თოვლის სისხამ დილასა... ჯერაც გაუკვალავი, თეთრ საბან-ასხმული... აქაოდა, თეთრი ფერის მეფობაო, ბუნების საკამურებიდანაც თეთრი კვამლი ამოდის... ისევ ჯილდა მაგონდება... თეთრ თბილისზე სიმღერა რომ გვაჩუქა და თავად სისხლის გათეთრე-

ბის გამო რომ დაგვშორდა...
ახლა, როცა დროის გადმოსახედიდან მისი ბაგედან მომწყდარ ამ ბგერებს ვუსმენთ, ვხდებით, რომ თურმე საკუთარ თავზე მღეროდა, იცოდა რომ ფანტელივით გაქრებოდა და დიდ ტკივილს დაგვიტოვებდა:
„იყო და არა იყო რა, რა იქნებოდა ნეტავი, იყო პატარა ჩიორა, სუსტი და გაუბედავი. სად დაიკარგა, ვინ იცის, იქნება გზა აერია, თოვლი მოსულა თბილისში, თბილისი თოვლისფერია. ფოთლის ქვეშ ხელებ-გაშლილი ვდგევარ და გული ღონდება, არა ყოფილა ადვილი წარსულის გადავიწყება“
ჯილდას გზა არ არევია! უფალი თავის სამფლობელოში საცხოვრებლად ანგელოზებს არჩევდა და ჯილდაც იქ არის ალბათ...
აი, გზა-არეული კი, ეს მერამდენე წელია ჩვენ დაგებორიალობთ უცხო ნაპირებს... მხრებზე წლებთან ერთად თოვლიც გვათოვს და იმ დალოცვილ თოვლიან თბილისს მხოლოდ სიზმრებშია ვხედავთ.
- სიზმრები ხდება ხოლმე-ო, გამიგია...
„თოვლისფერი თბილისის“ სიზმარი ამინდინე, ღმერთო!
მანუჩარ პაჭახიძე

ანსკოზი

წუხელის ბიჭი დაბადებულა, გადაჭარბებდა თუ არ ჩამითვლით, ისეთი ბიჭი დაბადებულა, დაურქმევიათ თურმე დავითი! წუხელის ბიჭი დაბადებულა, დაურქმევიათ იმისთვის - ცოტნე, შენ - ორგულობავ, აბა გაბედე და გული ჩვენი ისევე კორტნე. წუხელის შოთაც დაბადებულა, დაბადებულა თურმე დემეტრე, განგებავ, ჩვენი საქართველოსთვის რა სინარული გამოიმეტე! წუხელ ცის კარი ცხრავე გაალო ყველა გმირმა და თავდადებულმა, დაბადებულა თურმე ვახტანგი, წუხელ დემეტრე დაბადებულა. საქართველოს ცა, ისეც მაღალი, უფრო მეტად ამაღლებულა, დაბადებულა მთვარე-გიორგი, თურმე ილია დაბადებულა! წუხელის მტერი - ერთპირად ჩვენი მოსპობის მდომი - დადარდებულა; დაბადებულა თურმე სულხანი, გრიგოლ ხანძთელი დაბადებულა. დაბადებულა ბიჭი პაატა. გათენებულა წუხელის თეთრად: დაბადებულა სამასი გმირი, ვით დაიხოცნენ, ისევე ერთად! წუხელის გოგოც დაბადებულა, ცის ნამი, ცისფრად ნაკამკამარი, ისეთი გოგო დაბადებულა, დაურქმევიათ თურმე თამარი. დაბადებულა წუხელის ნინო და ქეთევანი დაბადებულა. ის ბნელი ღამე თურმე უეცრად ღვთიურის ნათლით განათლებულა. ყველა ზღაპარი - ნაოცნებარი ახდენილა და გამართლებულა: დაბადებულა თურმე ნესტანი და თინათინი დაბადებულა. და გიხაროდენ! ქართველთა შორის ღვიძლ ძმათა ხიდი კვლავ გადებულა და ერთიანი, ნანატრი დროის, ქართლი ხელახლა დაბადებულა!
ანსორ აბულაშვილი



ჩოქაჭოქის
ქაღალდი

ერის ფუნქცია მარადისობის საპურთხველთან

ისტორიას უყვარს რაინდები და გმირები, მათი არსებობა არის ლამაზი თვით ისტორია, იგი უწყობს ხელს გმირისა და რაინდის წარმოშობას როგორც რეალურ ხილვად ქმნილებას და როგორც ხელოვნურად კონკრეტული მომენტისათვის წარმოშობის, ან სულაც საპნის ოპერასავით ათასნაირ ქობადი ფერუმბოლით შეკოწიწებული-შეღამაზებულს. მას დრო არ ქმნის, მას ეპოქა ქმნის და თავისი იდეოლოგიური წინსართ-ბოლოსართებით (დროს მოაქვს ეპოქა, ეპოქას კი საარსებო სტრუქტურა თავისი იდეოლოგიის შეზღვევის ხეობრივი მაგალითი, რომლითაც გამყარებული იქნება ეპოქა დროში). ცხოვრებას აზრი მაშინ აქვს, როდესაც გმირის, მეფის, წმინდანის ცხოვრებით ექსტაზირებული (ზოგ შემთხვევაში ეგზალტირებული) ერთი (ზოგ შემთხვევაში - ბრბო) თავისი ბუნებრივი მონაცემებით ერთნულ ენერგიაში ერთიანი მუხტით იკვრება და უმაგალითო, ეპოქალური მნიშვნელობის ძვრები ხდება.

გმირის შექმნით ერთი ღმერთს ეძებს, - ისეთს, როგორც თვით გმირია. ამით იკითხება ამა თუ იმ ეპოქაში ერის ხეობრიობა. მთავარია ამ ძეგლში არ დამახინჯდეს ღმერთი, რადგან არ დაიშალოს ერის სული.

სული სამშობლოს უსაზღვრო შეგრძნებაა, უკიდურეს შემთხვევაში ნოსტალგიას რომ წარმოშობს დაუკლებლად და სულის შემსუთუველს.

საიდან იწყება სამშობლო, სიყვარული რომ ჭირდება?!

ალბათ რიონის ქვედა დინების სისწრაფიდან, მტკვრის დარბაისლური ღელუნდანი, ენგურისა და თერგის თავანწყვლილი თავდავიწყებდანი, მზის სხივები ერთმანეთთან თამაშში რომ ბრწყინვალეები და ასარკებენ წყლის ზედაპირს, თან ქვების ქვიშურ გულს რომ ათბობენ; იქნებ სვანური კომპის კენწეროდან სიმაღლეების აღმაფრენით აღტაცებული და ჯიხვის რქაში ჩაწურული ქართული სისხლის მომუშაებებიდან - ლოცვა რომაა სადღეგრძელოში ჩამოძვრული და ენა-მჭვერით გადმოცემული, სვეტიცხოვლის საძირკველში წმინდა სიღონის მკლავებში განსვენებული ჩვენთვის წილად რუგნებული მაცხოვრის კვართიდან (სამშობლო რომაა სწორედ მაცხოვრის მისტიკური სამარე... და ჩვენ ოდითგან ტკბილ იესოში ვეძებთ სამშობლოს და სამშობლოში ტკბილ იესოს, თუ ეს ურთიერთშერწყმა დაირღვა, ერთი დაკარგავს მსოფლიო ფუნქციას და მას დაეძვლება სული), ხელისგულით პატარა, მაგრამ უკიდურესად სიყვარულიდან, ტიციანი რომ იტყოს: „ნეტა სადა აქვს ამ ზვარებს ბოლო, ვინ დარგო ერთად ამდენი ვაზი, სჯობს აღარ გჯიხდეს სულაც სამშობლო, ანდა არ იყოს ასე ლამაზი“.

გმირი და რაინდი, - წელან ვახსენე. წმინდა გიორგი ქართველი ერის ისტორიის მთელ რიგ ეპოქათა გმირთა გმირია, იგი ჩვენი სამშობლოს სულიერ მოძღვრად და სიმბოლოდ იქცა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მოდემას ბუნებრივად უჩნდება მითხრობილება გმირისა და წმინდანის მარადიული სახების წვდომისა, რათა ამ გზით ეზიაროს ღმერთს და მიიპოვოს ღვთის კურთხევა, სულიერი განწმენდა და თვითგადარჩენა. პრომეთე-პირანიც კი ერთი მითოლოგიური სიბრძნის იდეალების

საბურველით შემოსა და ალვეორიული მეტყველების ნიუანსები შესძინა და გარდასახა გონიერი ერის აქტიური ძალად. ხოლო ნაცარქექია ზღაპარი არაა, იგი მთელი ეპოქაა მხოლოდ ქართველი ერის კუთვნილი და ანალოგი არ მოეპოვება საკაცობრიო ცივილიზაციაში (ნაცარს რომ ქექავს ღვინადაც, აქაიდა, საკვამურს

როსები ვერასოდეს მოგვერევა. ეს ინსტიქტი ღრმად ჩაჯდა ერის ფსიქიკაში და ღრმად რომ დააკვირდე, გასაოცარი და შემადრწუნებელი უღმობელობა და ცინიზმი ისაზება ჩვენს მსოფლჭვრეტაში. ეს ზუსტად დააფიქსირა ილიამაც და მოგვიანებით მსოფლიოს აუწყა ფიროსმანმა. თავდაბირველად გულისტკივილით აღიქვამდნენ ერის მამები ამ ჩვენს თვისებას, შემდეგ კი იგი სამშობლოს მღვაერ იარაღად იქცა ყველა მომხდურის წინაშე. ეს არის სწორედ ინდიფერენტულობა. აი, მკვეთრი მაგალითები - ჩამოვიდა პუშკინი, ვასვით, ვაჭამეთ, დავხანეთ... გვლანძბა და გვთათხა, ჩვენ კი ფეხებზე დავიკიდეთ თვით პუშკინი და გავაგრძელეთ ჩვენი დარღმადნული ყოფა. ასე გაერ-

გერმანიაშიც იზრდება, ამერიკაშიც და სადაც გაგვეგრძობა. უფრო მეტად კი იქაურობას ეტანებან, სადაც ბევრი სალაფიაა.

საქართველოში იზრდება ბავშვები, კიდევ უჭირთ და კიდევ უღიზიან. სწავლობენ და არანაკლებ და იქნებ უკეთესადაც ამ Hitlerjunge-ზე. ცხოვრებაში მეტი წარმატებები ექნებათ და იცით რატომ? იმიტომ, რომ ისინი სამშობლოს გამოადგებიან.

ჩვენ ფსიქოთერაპევტები არ გვჭირდება!

ჩვენ ქრისტიანი ერთი ვართ და ჩვენს გულისტკივილს, უკანასკნელ კუთხე-კუნჭულამდე მოძღვარს ვაბარებთ აღსარებაში. ჩვენ ღმერთთან



კვამლი არ ჩაქრეს, რადგან კვამლი სათვალავია კომში სიცოცხლისი).

და მინც, ყველა ერს უდგება თავისი არსებობის მანძილზე თავისი ბედისწერა - ფუნქციის დაკარგვის საშიშროება. ნაციის სიძლიერე და მოკიდებულია იმასზე, თუ როგორ გაუმკლავდება საკუთარ ბედსწერას. საქართველომ, მისმა მმართველმა კლასმა მე-19 საუკუნეში დაკარგა მისია, საკაცობრიო მისია, იგი ამოვარდა მსოფლიო განვითარების ორბიტიდან, ხალხი იქცა ლუარსაბგად, - კაცებად, რომლებიც ზედაპირულად არანაირ ცოდვას არ სჩადიან - და დანა წირვა-ლოცვებზე, არ მრუშობენ და ა.შ. სინამდვილეში კი ქვეყნის მმართველი ელიტა და არისტოკრატია მოიცვა მცონარებად. დაჟინდა ხრმალი, ფუნქცია დაკარგა ცხენს, ბრძოლასთან რომ იგივედებოდა, უცხო იერში შემოიჭრა ერისთვის სუცხო და მიუღებელი ნიუანსები - საღდაფინიზმი, თავის სრულმომცველობით. აისახა კიდევ მსოფლიო კულტურის საგანძურში ეს „ფეხებზემკიდობა“ და რუსეთუმება. ფიროსმანის ტილოებზე განუწყვეტელი სმა-ქვიფებია, განუწყვეტელი ზარხში, განუწყვეტელი ბოკება. ფეხებზე მოვიკიდეთ ერის სრული სიდუსჭირე და ღვინოში ვახრჩობდით დარდსა და ბოდმას. ღვინოში დაიხრჩო თვით ფიროსმანი და ვალაკტიონი. სამშობლოს შეგრძნება თანდათანობით ლამაზი და მწარე სიხმრად გადაიქცა. თვითდინებამ მსოფლიო კატასტროფამდე მიგვიყვანა. რევოლუცია ზოგიერთი ერისაკაცისთვის საფრთხივლა იყო, ზოგისთვისაც საფრთხე. და წამოვიდა სინამდვილის ყოფიერებაში ათასი ანტიგმირი...

შენ არ ჭირდება საქართველოს!
ჩვენ როგორც ადრე, ისე ახლაც ვცოდავთ. მაგრამ გენეტიკურად შემოგვრჩა ისეთი ძლიერი თვითგადარჩენის ინსტიქტი, რომ ვერანაირი ათასი შაპ-აბასები, თებურ-ლენინ-სტალინები და ხრუმხოვ-სო-

ძელდა ლერმონტოვთანაც, ტოლსტიისთანაც და სხვა მრავალ რუს კორიფებთან მიმართებაშიც. ეს თვისება საუკუნეების განმავლობაში გამოიბრძნდა და დღეს არათუ გულის მოსვლა და წყენა ინფორმაციულ ომებში, ფეხებზე გვეკიდია მავანთა და მავანთა შეხედულებები ჩვენზე. უფრო მეტად, თვითგადარჩენისთვის, საკუთარი თავიც გვეკიდია ფეხებზე, რათა ამ უღმობელ დროში არ გავითილოთ და არ გადავგვალაპოს დაუზოგავად უხეშმა და გაუთვალისწინებელმა მსოფლიო ახალმა წესრიგმა და საკაცობრიო მოვლენებმა. რაღაც მომენტში ფეხებზე დავიკიდეთ აფხაზეთი, რადგან ვგვონია, რომ ვერ დავიბრუნებთ და არ გვირდა შევაკვდეთ ამ უაზრო ომს.

ამდენად, ამ ყველაფრის ფონზე, ყალბად ჟღერს ჟურნალისტ თინიკო ჩითინაშვილის წერილის სათაურად წამოსროლილი დანანება ვიდაც მარცხ გორელაშვილის მიმართ, რომელიც თავბრუდამხვევ წარმატებებში ადამიანის სახეს კარგავს (ეს ინტერვიუ გერმანიაში გამოძავალ ჟურნალში „ქართული“ დაიბეჭდა და მისი წაკითხვა „მამულის“ მკითხველებს ჩვენი გაზეთის მე-13, თარს გვერდზე შეუძლიათ).

და რა ისეთი წარმატებები, რომლისთვისაც ის არ უნდა დაიკარგოს საქართველოსთვის?!

სავსებით არაფერი! არც ერთი ტური, ოლიმპიადი, საქართველი და სტიპენდიები არ ღირს იმ ფასად, ადამიანი (მაპატიეთ, და) ღორად იქცეს და ეს თვრამეტი წლის ასაკში.

საქართველოში რომ წაკითხონ მისი ეს ინტერვიუ, მერწმუნეთ, მას ერთი მეგობარიც აღარ დარჩება. შესაძლებელია საქართველოზე მოგონებებში დაიტოვოს ბიძა, ბებია და მამა-პაპისული სახლი, თუ ეს უკანასკნელიც სჭირდება მას, რადგან ღირს სამშობლო არ გააჩნია, იგი

მოლაპარაკე ხალხი ვართ და არა მომავალ ფსიქოთერაპევტ მარცხ გორელაშვილთან. ეს უფრო დიდი საქმეა და ღირსეული.

ჩვენ წითელი ჯვარი გვაძევეთ საქართველოდან, თავსაც ნუ შეიწუნებთ იგი ამ გვიდითა და მისითი საქართველოში სამოღვაწეოდ. ჩვენი რჩევა - კარგად ისწავლოს მან ფიზიკა და მათემატიკა, გაიმარჯვოს ტურებსა და ოლიმპიადებზე, აილოს ბევრი, ბევრზე ბევრი ფული, უნდა ამერიკაში იცხოვროს, უნდა იმის იქით.

ეს კი უნდა იცოდეს, რომ იგი საქართველოს არაფერში არ სჭირდება! დასაკარგი კი არა, თითქოს არც ყოფილა.

ასეა ეს! საქართველოდან ბევრი მიდიდა სასწავლებლად უცხო ქვეყნებში. ბევრი უკან ბრუნდებოდა მხოლოდ იმისთვის, რომ თავისი ქვეყნის სამაზურში ჩამდგარიყვნენ და თავიანთი ცოდნა-გამოცდილება მოხმარებოდა სამშობლოს. ეს ხალხი დიდი ხალხი იყვნენ და დიდი სახელი დატოვეს ისტორიაში, მათი ფრჩხილის ღირსეულად იყვნენ ფიზიკა-მათემატიკის-ფსიქოთერაპევტები. მათი ჩამოთვლა კი შორს წაგვიყვანს და სირცხვილი იქნება ამ უსახო სახის გვერდით დაყენება.

მას საქართველომ ყველაფერი მისცა - სწავლა, განათლება, აღიარება, საჩუქარიც (მართალია ხარისხით ნაკლები, ვიდრე ათასწვრიანი კომპიუტერი) და ვერაფრით ვერ დავადასაზარებულ საქართველოს, აი, ესა და ეს კაცი არ აღიარეთ და იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი ქვეყანა. ამის თქმის უფლება მას არა აქვს. ფულის ღირებულმა წყურვილმა და ამპარტავიზმად დაატოვებინა თავისი ყოფილი სამშობლო („ყოფილი“ ცოლი გამოგია, მაგრამ სამშობლოს გამოცვლა?) იმიტომ, რომ სამშობლოს არ გააჩნდა მისთვის შესაფერისი ჯიბე.

ერთის მოღალატე სხვასაც უღა-

ლატებს. ეს მის მომავალ მიზანშიც აისახა, როცა იწინასწარმეტყველა, ამერიკაში მხოლოდ პროფესორად მივიღებარ.

და ბოლოს...

დღეს რომ ყოფილიყო საქართველო ნიკოფსიტივან დარუბანდამდის... მინტერესებს, რა პოზიციებზე დადებოდა მარცხ გორელაშვილი?!

რომ ყოფილიყო ძველებურად მძლავრი საგანმანათლებლო ცენტრები საქართველოში, სად წავიდოდა ნეტავ?!

რომ ჰქონოდა ივერთა-მიწას ისეთი დოვლათი და სიუხვე, რაც თამარის დროს იყო და არ გვექონოდა გამხდარი საოცნებო და იდეალად „დრო დავითის და თამარის“, ვისთან იმეგობრებდა იგი ნეტავ?!

მამინ, დარწმუნებული ვარ, ღორის ფსიქიკიდან გამომდინარე მჯიღებს დაიცივდა გულზე და საქართველოს დღევანდელმა გაათინ-დალაშქვდა, როგორც ფუქსავატი დემგოგი. არადა, თუ სამშობლოს შეგრძნებას არა აქვს გადამწყვეტი და არსებითი მნიშვნელობა, მამინ ანალოგიურად რა მნიშვნელობა აქვს მისთვის, ვინ მისცემს მას ათასწვრიანი კომპიუტერს თუ ორდინარ კალკულატორს - გერმანელი, ამერიკელი თუ ქართველი, პეტრე, პავლე თუ ივანე. მისთვის მთავარია ამ შემთხვევაში საჩუქრის ღირებულება და მას შეაქვს, ვინც უკეთეს საჩუქარს მისცემს. აი, ესაა ღირება! ამ საქციელმა წამომატებულა ჩემი ბავიდან ადამიანისათვის ყოვლად უღირსო სიტყვა.

ამიტომ არაფრად მიღირს მისი ტურები და ოლიმპიადები (სხვათაშორის, ეს ტურები და ოლიმპიადები დღემდე საბჭოური მეთოდებითა და პათოსით მიმდინარეობს);

ამიტომ არაფრად მიღირს მისი სტიპენდიები და საჩუქრები...

ამიტომ არაფრად მიღირს მისი განსწავლულობა ფიზიკაში, მათემატიკაში თუ ფსიქოთერაპიაში.

რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის მისი ტვირის უჯრული რამდენიმე ხანით უფრო მეტად თუ ნაკლებად იქნება დადარული. ეს მხოლოდ მას გამოადგება, მეტს არავის. ვერც ამერიკაში ბოვის იგი საკუთარ თავს, რადგან თვით ამერიკაში თავსაყრელად არიან პროფესორები და ფსიქოთერაპევტები მასზე გაცილებით უკეთესები და განათლებულები. იგი ამერიკას ახალს ვერაფერს შესთავაზებს და ამიტომ უხერხული არის ჟურნალისტის მხრიდან ასეთი რემარკების გაკეთება იმის მიმართ, რომელიც საფუძველშივე განწირულია კატასტროფისთვის. მას ისე მიუვა, როგორც ღამურას - არც ფრინველებში რომ არ სწერია და არც თავკვებში.

ამ დღეებში საქართველოს მიწას დაუბრუნდა სამოცდათხუთმეტი წლის წინ ბედისწერის ძალით უცხოეთში გადახვეწილი დიდი ქართველი პატრიოტის ქაქუცა ჩოლოყაშვილის ძეგლები. და მერწმუნეთ, ამ დღეებში ივერა როგორც არასდროს, ისეთი ძლიერი და მამაცი იყო, როცა მამულიშვილის სამოცდათხუთმეტი წლის წინ დაგუბებული ცრეხლით ეგებებოდა მამული. ჟღერდა „მავლევი“ და უკვე ახლაც, ამდენი ხნის შემდეგ მთელს ერს ყრუანტილი უვლიდა ტანში.

აბა მოსულიყო და მოვიდეს ყველა გადამთილი ერთად ადრეული ჩვენი სამშობლოს ასაოხრებლად... ჩვენ აღარა ვართ ის ქართველები, დამარცხებას რომ შევუძინდებით!

აი, ვინ აკეთებს დიდ საქმეს ჩვენს ქვეყანაში - მიცვალებულის ძეგლები, და არა უსახო სახის ცოცხალი ლეში, რომლის სახელსა და გვარს არც არასოდეს გაიხსენებენ. ის კი არაა, არც ეკიდებნათ, რადგან საქართველოში მას ბიძის და ბების მეტი არავინ ელოდება.

იქნებ არც ისინი?!

მანუჩარ კაჭახიძე

გაიოზ კერატივილი ახალი რადიკალი ქართული ოთხთავისა

სახარება მასობრივ

დასაწყისი № 14-17, 23

თავი 15

- 1. მაშინ მოვიდნენ იესოსთან იერუსალიმიდან ფარისეველები და მოწოდებდნენ და უთხრეს:
- 2. რაისათვის მოწოდებენ შენნი გარდახდებიან მოძღვრებასა უხუცესთა? რამეთუ არა იბანენ ხელთა ჟამსა პურისა ჭამისასა.
- 3. ხოლო იესომ მიუგო და უთხრა მათ: და რაისათვის თქვენცა გარდახდებით მცენებასა ღმრთისასა მოძღვრებითა თქვენითა?
- 4. რამეთუ ღმერთთან თქვა: პატრიე-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა და რომელმან თქვას ბოროტი მამაზე გინდა დედაზე სიკვდილით მოკვდეს.
- 5. ხოლო თქვენ სიტყვით: რომელმან უთხრას მამასა თვისსა გინდა დედასა თვისსა: ძღვენი, რომელიც ჩემგან გერგებოდეს?
- 6. და არა პატრიე სცემს მამასა ანუ დედასა თვისსა, — ამნაირებით დარღვეულ ჰყავით მცენებანი მოძღვრებითა თქვენითა.
- 7. ორგულნი, კარგად წინასწარმეტყველებულა თქვენზე ესაია, როცა ამბობდა:
- 8. მახლობელ არს ჩემთან ეს ხალხი პირითა მათითა, და ბაგითა მათითა პატრიეს მცემს მე, ხოლო გულნი მათნი ძალზე შორს არიან ჩემგან.
- 9. ამოღე მსახურებენ მე, რამეთუ ასწავლიან მოძღვრებასა და მცენებასა კაცობრივსა.
- 10. და მოუწოდა ხალხსა და უთხრა: ისინი და გულისხმავყავით:
- 11. არა თუ პირიდან ჩამავალი ბილწავს ადამიანს, არამედ პირიდან გამომავალი ბილწავს კაცსა.
- 12. მაშინ მივიდნენ იესოსთან მოწოდებნი მისნი და უთხრეს მას: უწყი, რამეთუ ფარისეველები ესმათ რაი სიტყვანი ესე, დაეჭვდნენ?
- 13. ხოლო მან მიუგო და უთხრა მათ: ყოველი ნერგი, რომელიც არ დაუწერავს მამასა ჩემსა ზეცათსა, ძირფესვიანად აღმოიფხვრას.
- 14. მოეშვიტ მათ, რამეთუ ბრძანი არიან და წინამძღვარნი ბრძანათნი. ხოლო ბრძა თუ ბრძას წინა-გაუძღვება, ორივენი ორმოში ჩაცვივან.
- 15. მიუგო პეტრემ და უთხრა მას: განგვიმარტე იგავი ესე.
- 16. ხოლო იესომ უთხრა მას: ნუთუ თქვენც უგულისხმობნი ხართ?
- 17. და განა არ იცით, რომ ყოველი რომელიც პირში შედის, მუცელში ჩადის და განსავალით გადის?
- 18. ხოლო პირიდან გამომავალი, გულიდან ამოდის და ის ბილწავს ადამიანს.
- 19. რამეთუ გულიდან მოედინებიან გულის-თქმანი ბოროტნი, კაცის კვლანი, მრუშობანი, სიძვანი, პარვანი, ცილის წამებანი, გმობანი.
- 20. ესენი არიან, რომელნიც ბილწავენ ადამიანს, ხოლო დაუბანელი ხელით პურის ჭამა, არ ბილწავს ადამიანს.
- 21. და წარვიდა იქიდან იესო და მოვიდა ტვიროსისა და სიდონის ადგილებში.
- 22. და ავა, ესერა, მათი საზღვრებიდან გამოვიდა ერთი ქანაახელი დედაკაცი, დალაღებდა და იძახდა: უფალო, ძეო დავითისო, შემეწყალე, რამეთუ ასული ჩემი ბოროტად ეშმაკეულ არს.
- 23. ხოლო იესოს სიტყვაც არ გაუცია მისთვის და მივიდნენ მოწოდებნი იესოსთან და უთხრეს მას: გაუშვი იგი, რომელიც მოგვყვირის და უკან მოგვდევს თან.
- 24. უთხრა მათ იესომ: მე მოვლინებულ ვარ მხოლოდ ცხოვართა წარწყმედულთათვის სახლისა მის ისრაელისა.
- 25. ხოლო იგი მიუახლოვდა და თყვანისასცემდა და ეუბნებოდა: უფალო, შემეწყალე მე!
- 26. ხოლო მან მიუგო და უთხრა მას: არავეთილ არს შეიღებს წაართვა პური და ძილუმს გადაუგდო.
- 27. ხოლო მან უთხრა: ჰე, უფალო, რამეთუ ძილნიც ხომ ჭამენ ნამცეცებს, მათი ბატონების სუფრიდან რომ ცვივა.
- 28. მაშინ მიუგო იესომ და უთხრა მას: ჰოი, დედაკაცი! დიდ არს სარწმუნოებაი ეგე შენი. გეყავნ შენ, ვითარცა ესუსი! და განვიტრნა ასული იგი მისი იმავე ჟამიდან.
- 29. და წარვიდა იქიდან იესო და მივიდა ზღვასთან გალილეისა, აღვიდა მთაზე და დაჯდა იქ.
- 30. და მიუვიდა დიდძალი ხალხი, რომელთაც თან ჰყავდათ კოჭლნი, ბრძანი, ყრუნი, საპყარნი და სხვანი მრავალნი სხვადასხვა სენით შეპყრობილნი და დასხეს ისინი ფერხთა მისთა თანა და განკურნა იგინი.
- 31. ასე რომ გაკვირვებულნი იყვნენ ხალხი, როცა ჰხედდათ თუ ყრუნი როგორ ლაპარაკობდნენ, კოჭლები დადიოდნენ, მოხრნილი ჯანმრთელდებოდნენ და ბრძები ხელდადნენ და აღიღებდნენ ღმერთისა ისრაელისასა.
- 32. ხოლო იესომ უხმო მოწოდებთა თვისთა და უთხრა მათ: მეზრალვის ეს ხალხი, რამეთუ ავა ესერა სამი დღეა ჩემთან არიან და არარაი აქვთ რამე ჭამონ. და გაშვებანი მშვიერთაი არ მინდა, რამეთუ დაცვივდებიან გზასა ზედა.
- 33. უთხრეს მას მოწოდებნი: სადა გვაქვს იმო-

- დენა პური უღაბნოში, რომ ამოდენა ხალხი გავამლოთ?
- 34. უთხრა მათ იესომ: რამდენი პური გავქვთ? ხოლო მათ უთხრეს მას: შვიდი პური და მცირეოდენი თევზი.
- 35. და უბრძანა ხალხს დასდომი მიწასა ზედა.
- 36. და აიღო შვიდი იგი პური და თევზნი, ჰმადლობდა, განტეხა და აძლევდა მოწოდებებს და მოწოდებნი აძლევდნენ ხალხს.
- 37. ჰამეს ყოველთა და განძნენ და აღიღეს ნარჩენი იგი ნამტვრევთაგან შვიდი კალათი სასე.
- 38. ხოლო რომელმაც ჰამეს, იყენენ ოთხი ათასი მამანი მარტო, გარდა ყრმებისა და დედებისა.
- 39. და გაუშვა ხალხი და აღვიდა იესო ნავსა და მოვიდა საზღვართა მაგდალოისათა.

თავი 16

- 1. და მივიდნენ მასთან ფარისეველები და სადღუკველები, და გამოსადგელად უთხრეს, რათა სასწაული ზეციდან უჩვენოს მათ.
- 2. ხოლო მან მიუგო და უთხრა: სადამოხანს ამბობთ: დარი იქნებაო, რამეთუ მოწოდებულა იცა-

- თა სადღუარს.
- 12. მაშინდა გულისხმავყეს, რამეთუ აფრთხილებდა მოწოდებდნენ არა სადღუარს ცომისასა, არამედ ფარისეველთა და სადღუკველთა მოძღვრებასა.
- 13. კესარია ფილიპეს ადგილებში მისვლისას ჰკითხა მოწოდებთა თვისთა და უთხრა: რას ამბობს ხალხი, ვინა ვგონივარ ძე კაცისა?
- 14. ხოლო მათ უთხრეს: ზოგს იოანე ნათლისმცემელი, ზოგს ელია და სხვნი იერემია ანდა ერთი წინასწარმეტყველთაგანი.
- 15. ხოლო მან უთხრა მათ: თქვენ ვინა ვგონივართ მე?
- 16. მიუგო სვიმონ-პეტრემ და უთხრა მას: შენა ხარ ქრისტე, ძე ღვთისა ცხოველისა!
- 17. მიუგო იესომ და უთხრა მას: ნეტარ ხარ შენ, სვიმონ, ძეო იონასო, რამეთუ არა ხორცითა და სისხლთა გამოვიცხადეს, არამედ მამამან ჩემმან ზეცათაგან.
- 18. და მე გეტყვი შენ, რამეთუ შენა ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი, და ბჭენი ქოჯივითისანი ვერ ეროდნენ მას.
- 19. და მოგცე შენ კლიტენი სასუფეველისა ცა-



ახალი პერიოდის იოანე ნათლისმცემლის თავით

- 3. და დილით იძახით: ავდარი იქნებაო, რამეთუ მოჭრულა იცა. ორგულნი! ცის პირის გამოცნობა შეგიძლიათ, ხოლო სასწაული დროისანი ვერ გამოვიცნოთ.
- 4. მოდგმა ბოროტი და მემრუმე სასწაულსა ეძიებს. და სასწაული არ მიეცეს მას, გარდა იონა წინასწარმეტყველის სასწაულისა. და მიატოვა ისინი და წავიდა.
- 5. და გადავიდნენ რა მოწოდებნი მისნი იქითა მხარეს, პურის წამოღება დაავიწყდათ.
- 6. ხოლო იესომ უთხრა მათ: ფრთხილად იყავით და ერიდეთ ფარისეველთა და სადღუკველთა სადღუარს.
- 7. მაგრამ ისინი, თავიანთ გულელებში ჰგონებდნენ და ამბობდნენ: ალბად, მის გამო, რომ პური არ წამოვიდეთ.
- 8. გულისხმავყა იესომ და უთხრა მათ: რაზე ფიქრობთ გულთა შინა თქვენითა მცირედმორწმუნენო, რამეთუ პური არ მოიტანეთ?
- 9. არ გავიგიათ და არც ვახსოვთ ხუთი პურისა და ხუთი ათასისის შესახებ და რამდენი გოდორი შეივარდეთ?
- 10. და არცა შვიდი პურისა და ოთხი ათასის შესახებ და რამდენი კალათი შევარდეთ?
- 11. ვითარ ვერ ვაიგეთ, რამეთუ პურზე არ გითხარით: ერიდეთ — ფარისეველთა და სადღუკველ-

- თაისანი, და რომელიც შეჭრა ქვეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა. და რომელიც გაჭხხნა ქვეყანასა ზედა, ხსნილ იყოს იგი ცათა შინა.
- 20. მაშინ ამცნო მოწოდებთა თვისთა, რათა არავის უთხრან, რომ იგი არს იესო ქრისტე.
- 21. მას შემდეგ დაიწყო იესომ განხელო მოწოდებთა თვისთაგან, რომ უნდა მისულყო იერუსალიმში და ფრიად ვნებულყო მღვდელთმთავართა და მოწოდებართა და უხუცესთაგან და მოკლულიყო და აღმდგარიყო მესამესა დღესა.
- 22. და მივიდა მასთან პეტრე და დაიწყო შეპასუხება და უთხრა: შენდობა ჰყავ შენდამი უფალო, არა იყოს ეგვრე.
- 23. ხოლო იგი მიუბრუნდა პეტრეს და უთხრა: წარვედ ჩემგან, სატანა! საცდურ ჩემდა ხარ, რამეთუ ფიქრობ არა ღვთისასა, არამედ კაცისასა.
- 24. მაშინ უთხრა იესომ მოწოდებთა თვისთა: რომელსაც უნდა რომ შემიმოდეს მე, უარყოთ თავი თვისი და აღილოს ჯვარი თვისი და შემომიდგეს მე.
- 25. რამეთუ უკეთუ ვინმეს სურდეს სული თვისი გადარჩინოს, წარიწყმდოს იგი და რომელმან წარიწყმდოს სული თვისი ჩემთვის, მან მოიპოვოს იგი.
- 26. რამეთუ რაი სარგებელ ეყოს კაცსა, უკეთუ მთელი ქვეყანა შეიძინოს და სული თვისი კი ანაც-

ვალოს? ან რაი მისცეს კაცმან ნაცვლად სულისა თვისისა?
 27. რამეთუ მოსვლად არს ძე კაცისა დიდებითა მამისა თვისისათა ანგელოზთა მისთა თანა, და მაშინ მიავოს თვითულს საქმეთა მათთაგურ.
 28. ჰეშმარითად გეუბნებით თქვენ, რამეთუ არიან ზოგიერთნი აქა მდგომარენი, რომლებმაც არა იხილონ გემო სიკვდილისა, ვიდრე არ იხილონ ძე კაცისა, მომავალი სუფევითა თვისითა.

თავი 17

- 1. და შემდგომად ექვსისა დღისა, წარიყვანა იესომ პეტრე, იაკობი და იოანე, ძმაი მისი, და აღიყვანა მათსა მას მაღალსა მარტოდ.
- 2. და იცვალა მათ წინაშე სხვა ფერად და გაბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე, ხოლო სამოცელი მისი იქმნა სპეტაკი, ვითარცა ნათელი.
- 3. და ავა, ეჩვენენ მათ მოსე და ელია მასთან მოსაუბრენი.
- 4. მიუგო პეტრემ და უთხრა იესოს: უფალო, კეთილ არს ჩვენდა აქა ყოფა, და უკეთუ გნებავს, დავდგათ აქ სამი ტლაავარი: ერთი შენთვის, ერთი მოსესთვის და ერთი ელიასთვის.
- 5. და სანამ იგი ამას ამბობდა, ავა, ესერა ღრუბელი ნათლისა აგრილებდა მათ და ავა, ხმა იყო ღრუბლიდან და თქვა: ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელიც მე სათნო-ვიჩინე. მაგისი ისმინეთ.
- 6. და ესმით რაი ესე მოწოდებთა, დაემხენ პირქვე და შეეშინდათ ფრიად.
- 7. და მივიდა მათთან იესო, შეახო ხელი და უთხრა: აღდექით და ნუ გეშინიათ.
- 8. და აღახილენს თვალნი მათნი და არავინ იხილეს მარტო იესოს გარდა.
- 9. და მოემართებოდნენ რაი მთიდან, ამცნო მათ იესომ და უთხრა: ნურავის ეტყოდნენ ხილვასა ამას, ვიდრე ძე კაცისა მკვდრით არ აღსდგება.
- 10. ჰკითხეს მას მოწოდებთა თვისთა და უთხრეს: რატომ ამბობენ მოწოდებნი, რამეთუ ვერ არს პირველად მოსვლი ელიასი.
- 11. ხოლო იესომ მიუგო და უთხრა მათ: ელია მოვა პირველად და ისევ მას ვაპყებებს.
- 12. ხოლო გეუბნებით თქვენ, რამეთუ ელია უკვე მოვიდა და ვერ იცნეს იგი. და მოექცნენ ისე, როგორც უნდოდათ და ასევე ძესაცა კაცისასა მოელის მათ მიერ ვნება.
- 13. მაშინ გულისხმავყეს მოწოდებთა, რამეთუ იოანე ნათლისმცემელზე ამბობდა ამას.
- 14. და როდესაც მივიდნენ ხალხთან, მოვიდა მასთან ერთი კაცი, მუხლი მოიყარა მის წინაშე.
- 15. და უთხრა: უფალო! შეიწყალე ძე ჩემი, რამეთუ მთვარეული არს და ბოროტად იტანჯება და მრავალჯის ვარდება ხან ცეცხლში და ხან წყალში.
- 16. და მოგვარე იგი მოწოდებთა შენთა, მაგრამ ვერ შეძლეს განკურნება მისი.
- 17. მიუგო იესომ და უთხრა მას: ჰოი, ურწმუნო და უკულმართო თობაგ! როდემდე ვიქნები თქვენთან? როდემდე თავსეილდა თქვენი? მომგვარეთ მე იგი აქა.
- 18. და ვითარცა მოგვარეს, შერისხა მას იესომ, და განვიდა მისგან ეშმაკი იგი და განიკურნა ყრმაი იგი იმავე ჟამიდან.
- 19. მაშინ მივიდნენ იესოსთან მოწოდებნი ცალკე და უთხრეს: რაისათვის ჩვენ ვერ შევგვლით განძებება მისი?
- 20. ხოლო იესომ უთხრა მათ: ურწმუნოებისა თქვენისა გამო. ჰეშმარითად გეუბნებით თქვენ: უკეთუ გავქნდეთ სარწმუნოება, ვითარცა მარტო-ვლი მდგომარეობა, უთხრა ამ მთას: აქედან გადავლიო იქით, გადავიდეს და შეუძლებელი არა რაი იყოს თქვენს მიერ.
- 21. ხოლო მოდგმა ესე, არარაით განიდევნება, მხოლოდ ლოცვითა და მარხვით.
- 22. და ვითარცა ბრუნდებოდნენ ისინი გალილეს, უთხრა მათ იესომ, რამეთუ: ძე კაცისა გადაეცემის ხელთა კაცთასა.
- 23. და მოკლან იგი, და მესამესა დღესა აღსდგეს. ხოლო ისინი დამწუხრდნენ ფრიად.
- 24. და ვითარცა მივიდნენ იგინი კაპერნაუმში, მივიდნენ პეტრესთან რომელიც დიდრამისაჲ ჰკრებდნენ და უთხრეს მას: მოძღვარმან თქვენმან არ უნდა გადავიხილოს ხარკი?
- 25. ხოლო მან უთხრა: დიან. და ვითარცა შევიდა იგი სახლში, დაასწრო იესომ და ჰკითხა: შენ როგორა ფიქრობ სვიმონ: მევენი ქვეყანისანი ვისგან იღებენ ხარკს ან ბაჟს, შვილთაგან თუ უცხოთაგან?
- 26. უთხრა მას პეტრემ: უცხოთაგან. მიუგო იესომ და უთხრა მას: აწ უკვე შვილნი თავისუფლები ყოფილან.
- 27. ხოლო რათა არ დავაბრკოლოთ ისინი, წადი ზღვაზე, შთააგდე ანკისი, და პირველად რომელი თევზნიც ამოწყება, აიღე, და გაუსენ პირი და შიგ იპოვი სატირსჲ, წამოიღე და მიეცი მათ შენთვისა და ჩემთვის.

გაგრძელება იქნება

1. ეს ადგილი სახარების რუსულ ტექსტში და ახალ ქართულ თარგმანებში აზრობრივად რამდენადმე განსხვავებულია.
 2. ფულის ერთეული, შეესაბამებოდა 2 დრაჰმს.
 3. ოთხი დრაჰმა.



მამულა

შენგვდრის დრო: 2005 წლის 30 ოქტომბერი
 შენგვდრის ადგილი: ბრუკლინი, რისტორანი „ნასიონალი“
 შენგვდრის მიზანი: გაზეთ „მამულის“ იუბილე
 მასშტაბითა რაოდენობა: 500 (ხუთასი) ქართველი
 განწყობა დარბაზში: ქართული სული
 სუფრაზე: შოთის პური, კუჭაჭი, ნიგოზიანი ხაჭაპური

გაზეთ „მამულა“ სტრატეგიის სფერო რევიზია

უჩვეულო და უცნაური ერი ვართ... ქართველები! წიგნს, ისეთს „დედაენა“ რომაა, ძველს ვუდგამთ... ის კი არაა, ყვავილს, გაზაფხულის პირველ მახარობელს, იას, ქვაში ვაქანდაკებთ... და სულსაც ვშობავთ... ისეთს, ყმაწვილს რომ ცაში ააფრენს... უჩვეულო ვართ-თქო, ასე არ დავიწყებ?! ამ ბოლო დროს გაზეთის იუბილეების აღნიშვნა დაგვიწმენდა...

ქვეყანა, რომელიც 100 წლის იუბილეს ზეიმობს შურნალ „დილისას“, 80 წლის უხდება შურნალი „მნათობი“, უფრო მეტის კიდევ, 153 წლის შურნალი „ციხისკარი“, არ იფიქრებს და აღნიშნავს გაზეთ „მამულის“ სულ პატარა, პაწაწაინტელა თარიღს, ორი წლის იუბილეს...

ორ წელს სიტყვით ვამბობ, თორემ „მამულის“ ისტორია ევე, საიდან იწყება...

გემასხორცებთ, ქართული შურნალისტიკის გზის პირველ-გამკვლევთა ინტერესი სამხარეულოს სიბრძნით დამთავრდა - რუსთველიდან და ბესიკიდან კნენინა ჯორჯაძესთან აღმოჩნდით; „ვეფხისტყაოსნის“ უნაზესი აკენესებიდან საქართველო კერესელიძის „ციხისკარის“ რედაქციამდის მივიდა, სადაც გულმოდგინედ სწავლობდნენ კომპოსტოს დამკვებებსა და ბოზბაშის კეთებას. შემდეგ იყო რევოლუციის ილუზია, თერგდალეულთა პოეზია, კეთილშობილი გაქანება მოქალაქეობრივ მოტივებში; პოეზიის კასტრაცია ბანკობითა და აპელაციებით, სამაგიეროდ კრილოვის იგავ-არაკებით გართობა და „სულიკოს“ იდეით დაძინება.

ბარაბანითა და მუზიკით კვდებოდა საქართველო, „რა კარგი გამოგონებაა სასასფლაო“ - ამბობდა დამტვრეული რუსული ბარათაშვილი, ორბელიანი კი სადღვერძელოებში და ლობიანას მუხამბაზებში იკლავდა პატრიოტულ ჟინს. სამაგიეროდ, ცეცხლი ეკიდებოდა „ივერიას“, ისე გამოიარა დარჩენილი საუკუნე და გადავიდა მომდევნოში. დაბერდა ილია მესაძირკვლე და სულისდგმა „ივერიას“... პროპელერებმა დააფრთხო ზეცის იღუმენტება, სივრცე აცახცახდა რადიოს ტოკკით, ცხენმა საჭიროება დაკარგა და მანქანების ქარიშხალმა გაანიავა წარსული. აი, მოვიდნენ „ვაჟაკები“ სასტიკი ქარიშხლით და მოერიენ კეთილშობილ მოხუცს, რომელიც ბრუნდებოდა სახლში. აი, ვაჟაკობა! ტაში ამხანაგებო!

ილიას „ივერიიდან“ ამ გაქანებულმა დრომ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში მივიყვანა, თავზარს რომ სცემდა მისი გესლიანი კალამი ყველას და ყველაფერს. „კომუნისტის“ ფოლადის კალამი ბელადების ქება-დიდებათა და მათზე შეთხზული ნეკროლოგების მაღალფარდოვანებაში გამოიწრო, თითქმის მთელი ქვეყანა რომ აწერდა ხელს ამ ტექსტებს. თავისთავად, ყველა ხელმომწერი ავტორი იყო ნეკროლოგის და პარადოქსმაც არ დააყოვნა: ნეკროლოგში სიტყვები რომ დავეთვალა ცალკე და ავტორთა ვვარები ცალკე, თანაფარდობა დაახლოებით ასეთი იქნებოდა - ერთ სიტყვაზე სამი-ოთხი ავტორი მოდიოდა...

ჩვენ ჩამოვედით აქ, სექს-ენ-ენებისა და თაიმსების ქვეყანაში, და ჩამოვიტანეთ ის პირვანდელი შურნალისტური გატაცება, ის პათოსი, ილიასეულ „ივერიას“ რომ ჰქონდა, ის სიმტიკიცე, რაც „კომუნისტს“ ჰქონდა, ის მრავალფეროვნება, რაც ჩვენ შევქმენით... არსებობის დღიდან გაზეთმა „მამულმა“ ამ უკიდევანო სივრცეში დაგვაკავშირა ერთმანეთთან და რაც მთავარია, უნილავი ძაფით მიგვაბა ჩვენს სამშობლოსთან...

პირუთენელად ვაშუქებთ საქართველოდან ჩამოსულ ამბებს, მძიმეს, მაგრამ სიმართლეს, სხვა განზომილებიდან ვაფასებთ მოვლენებს, ისაა, რომ ღრმა ნოსტალგიას თეთრ სასტამბო ფურცლებში ვაქსოვთ...


მინდა ხმამაღლად განვაცხადო!... ვერც ერთი გაზეთის რედაქცია დაიკვებნის მკითხველთა სიყვარულს ისე, როგორც „მამულის“ მკითხველებმა იციან...

- „მამულის“ მკითხველია, კონკრეტში შეკვრა საფოსტო მარკა რომ ჩავვიდო, წაგეხდებოდა...
- „მამულის“ მკითხველია, დღეს უბილეთობის გამო რომ ვერ მოვიდა, მაგრამ თავისი მამულიშვილური წვლილი მაინც გაიღო...
- „მამულის“ მკითხველია ჭეშმარიტად ქართული ჭადარა, 82 წლის ბებია, რომელმაც გაზეთის ერთი ნომრის გამოცემა დააფინანსა ინკოგნიტოდ...
- ალბათ, მართლა ძლიერ უნდა გიყვარდეს შენი გაზეთი, შეყვარებულით საუბრელოდ ყვაილების ლამაზი თაიგული რომ გაუგზავნო...
- არ მინდა დამავიწყდეს, რომ „მამულის“ მკითხველია ქალბატონი ნათელა ცხვედიანიც, ლექსის ეს სტრიქონები რომ მოგვიძღვნა:

„ორი წლის არის ჩვენი „მამულა“,
 სამშობლო ქვეყნის პატარა ყლორტი,
 ამერიკაში ფეხი აიდგა
 და დატანტალეს შტატებში ფოსტით.
 სად არა ნახავთ, სად არ შეხვდებით,
 ყველა ქართველის მეგობარია,
 ფრთხილად ეხება ჩვენს სულის სიმებს,
 ხან მწარედ, ხან ტკბილ-მოუბარია.
 ხან ცრემლებს გვადენს, ხან კი გვაცინებს,
 გვიყვება ამბებს - ძველსა თუ ახალს,
 გვაიმედებს და თან გვანუგეშებს,
 გვიძღვნის სიხარულს, სიყვარულს მრავალს.“

სიტყვა გამიგრძობდა, თორემ უამრავი რამის გასხენება შეიძლებოდა...

ვეცდები დასასრულისკენ წავიყვანო ეს გამოხვლა... ჩემი ძვირფასო მკითხველო... უღრმეს მადლობას მოგახსენებთ, პატივი რომ დავგდეთ და მობრძანდით ჩვენს შემოთავაზებულ, საქველმოქმედო საღამოზე, მცირე ხნით გავისწავლოთ სამშობლო, ვუსმენდით ტკბილ ქართულს და დავტკბით ქართული ცეკვა-სიმღერებით... ეს პირადად ჩემთვის არის მოზღვავებული ნოსტალგიის გაქარება, მცირე ხნით მაინც... იმედს გამოვთქვამ, რომ არ დაგვირდება არც ერთი სხვადასხვა ქვეყნებში საარსებო წყაროს ძებნა და ერთად შევეცებებით ლალ სამშობლოს...



გაზეთის ამ სივრცეში რეპორტაჟი უნდა დაგვებუჭდა... რეპორტაჟი იმისა, თუ როგორ აღნიშნა ამერიკის ქართველობამ ერთადერთი ქართული გაზეთის იუბილე! მოკლედ რომ ვთქვათ, ამ დღეს იყო ქართული სიმღერის, ცეკვისა და სიტყვის ზეიმობა, სიყვარული, სიხარული, შეხვედრა მონატრებულ ადამიანებთან... მაგრამ...

მოდით ვიყო მართალნი საკუთარ თავთან და ისიც ვაღიაროთ, რომ იყო ხმაურიც... დანებისა და ჩანგლების ხმაშეწყობილი ურთიერთობა რომ წარმოშობდა და ერთმანეთთან საუბრის ხმასაც რომ არ ვაკლებდით...

სცენაზე ფილმების კადრები გადიოდა, იქ მძლეუქი კვდებოდა, აქუთ დოღო აბაშიძის გმირი ტიროდა აეროპორტში ქართული სიმღერის გაგონებაზე, ეროსიც საუბრობდა ალეღვებულები იმ ერთი რამის სიყვარულზე, დამალვა რომ უნდა...

დარბაზი კი ხმაურობდა... დანებისა და ჩანგლების ცეკვას ცეკვავდა!

არ გვეშინია, რომ ხმამაღლად ვთქვათ:

- ბერძენი ბიჭისავით, იანგულივით, ჩვენთვისაც სამშობლო უფრო ღრმად, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ არათუ გულში... **კუჭში!**

ეს მინაწერი არ უნდა დამსწრე საზოგადოების იმ 10%-ს, თვალცრემლიანებს, რომლისთვისაც გაზეთი „მამული“ ჯერაც აგრძელებს არსებობას.

გთავაზობთ გაზეთის იუბილის ფოტო-კოლაჟს, მხოლოდ ისტორიისათვის... თუმცა არც იმას ვმალავთ, რომ არსებობს სხვა სურათებიც, რომელთა დაბეჭდვის უფლება რედაქტორმა საკუთარ თავს არ მისცა.

დასაწყისი

მე-6 ბერიძე

იატაკზე არ ეტყობოდა. ამიტომ ვერსიას - როცა ჩვენ გვეძინა, მაშინ სწავლებელი ესროლა ზვიადს - არავითარი რეაქციის გარეშე არ გააჩნია...

ნაგვალთაში საზნაობით მის ჯანსაღობაზე საუბარი. ისევე ატარებდნენ სახელის-თმის.

შეშალა სიკვდილის წინ ზვიადის განმარტების მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, კრიტიკული გახდა და იგი უკვე მინიმალურად აღდგა...



გუგუჟიონ ნური ჟინაიძის

პეტრო მასალა იმის შესახებ, თუ რა გახდა ზვიად გამსახურდიას სიკვდილის ნამდვილი მიზეზი... ნამდვილად ჭრილობა თუ მხოლოდ გარეულად ჰგავდა ჭრილობას.

შეუძლებელია იმის დასაბუთებული და დოკუმენტირებული დადგენა, იყო თუ არა მარჯვენა საფეთქელის არეში გარე-განი დათვალიერებით შესამჩნევად ჭრილობის მსგავსი რამ: ნამდვილად ჭრილობა თუ მხოლოდ გარეულად ჰგავდა ჭრილობას.

რად დამტკიცდეს, იყო ეს: კანის ზედაპირული დაზიანება, შემავალი ჭრილობა. თუ ჩაითვლება, რომ მარჯვენა საფეთქელზე ნამდვილად ტყვიით მიყენებული (შემავალი) ჭრილობა იყო, მაშინ შეუძლებელია, რომ იგივე ტყვიამ დაამტკიცა...

რის ხელშეკრულების არსში და ამისთან დაკავშირებით იმაში, თუ რა შედეგები გამოიწვია ზვიადის მიერ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაზე უარის თქვამს...

მტკიცებულებათა სახით, გარდა იმ პირობისა, რომ ლეგიტიმური თვითმხილველი იყვნენ. სხვა ვერსიები შეიძლება წამოყენებული იყოს... ოლონდ ისინი მტკიცებულებებს მოითხოვენ.

ბოლო საღამომზე რომ ვიყავით, დიდი გაჭირვებით ჩუხუამ იპოვა და მოიყვანა ექიმები, მაგრამ ზვიადმა ექიმს თავი ხელით არ გაასივნა...

ბანანს არჩევამ-გამსახურების მიმართ რეზიდაის რუსულენოვანი პრეზიდენტ ჯოჰან დუდავისადმი. 1994 წლის 7 იანვარი. Includes a large Russian text block and a signature.

ამჟამად, სამედიცინო ექსპერტიზის არჩევანების გამო, ეს საკითხიც სამუდამოდ დაიღწეოდა. ზვიადმა გონება დაკარგა, თვალები გადაუტრიალდა და სროტინი ამოუშვა, მაგრამ ოციოდე წუთში ისევ გონს მოვიდა...

ლი მოლაპარაკების, ხელშეკრულების, პირობისა და ოჯახის მიერ მოცემული პატიოსანი სიტუაციის შესაბამისად, ზვიადის თვითმკვლელობის ვერსიას ზვიად გამსახურდიას ოჯახი უნდა იცავდეს, უპიროვნულად ყოვლისა... გააჩნიათ განა პატიოსნება?

ოჯახის დახმებით ექსპერტის ჩაუტარებლობის გამო ერთადერთი მასალა, რაც ზვიადის დაღუპვაზე არსებობს და იარსებებს, ეს მოწმეთა და თვითმხილველთა მოგონებებია, რომელთა უმეტესობა ათი და მეტი წლის შემდეგ იკრიბება და რომლებიც არსით ფრიად სუბიექტურია, ფორმალური და საზოგადოებრივი სტრუქტურების განუწყვეტელი ფიქილოლოგიური წინის ზეგავლენას განიცდიან, ანუ ხშირად მოწმეები ლაპარაკობენ იმას, რასაც მათგან საზოგადოებრიობა ელოდება, რათა სოციალური კონფლიქტი აიცილოს თავიდან და არ ლაპარაკობენ მთელსა და სრულ სიმართლეს. ყოველივე ამის გამო ამ მოვლენათა გარკვეული ნაწილი ნებისმიერი ფორმალური გამოძიებისათვის არსებითად გამოუსადეგარია.


ყველა ეს ფაქტორი არსებითა იმ შემთხვევაშიც კი, თუ საერთოდ შესაძლებელი ვახდა ოდესმე ობიექტური და მიუკერძოებელი გამოკვლევა-გამოძიება. არსებულ ვითარებაში კი უდიდესი ასპარეზო ყოველგვარი ფანტაზიებისათვის, მონაპორებისათვის, ფალსიფიკაციებისათვის...

მაშინ, ზვიადის დაკრძალვის უამს, ჩემს სიტყვებს არ ჩავლრძებებო, იმას ვლაპარაკობდი, რაც ენაზე მომადგებოდა, ხან-რუსულად და ხან - ქართულად. არც კი მახსოვდა, ზუსტად რა ვილაპარაკე, სანამ ვიღოჩინა-წერი არ ვახე. იმ პერიოდში ძალზე მძიმე დეპრესიას განვიცდიდი, არც სიტყვა მომიშვადებია წინასწარ და ისიც კი არ ვიცოდი, რომ დაკრძალვის პროტოკოლით ჩემი გამოსვლა იყო, თურმე, დაგვიძლია (უკვე აღვნიშნე, თუ როგორ დაიძაბა იმ დროს მდგომარეობა ქვრივის ცილისმწამებლური გამონდომების გამო ჩემსა და ლევიტიმური ხელისუფლების სხვა წევრებს შორის, რომლებიც პროტოკოლს აჯერებდნენ). დაკრძალვამდე ორი საათით ადრე მიხვრეს, რომ ჯიპარის შემდეგ მე უნდა მეტყვა გამოსათხოვარი. მაგრამ ახლა ვხვდები, რომ, თურმე, ჩემს ამ უნებლიე სიტყვებს მომავალი ქართველი რაინდების თაობებისათვის (თუ ასეთები ოდესმე ელირება საქართველოს) მართლაც დიდი და არსებითი ზნეობრივი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.

მტრის გარემოცვაში, რომელშიც ჩვენ ამოვიჩნდით, თუ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგობის გაგრძელებას ვადაწვევდა, ადრე თუ გვიან მოგვიწევდა სასტიკი და სისხლისმღვრელი ბრძოლის მიღება (ჩვენ რომ ამის უნარი შეგვწევს, 1991-1992 წლების მიჯნაზე თბილისში გამართულმა ბრძოლებმა თვალნათლივ დაადასტურა) და მოგვიწევდა ამ ბრძოლაში დაიღუპებოდა თვით ზვიადიც (იგი ცოცხალი მტერს არ ჩაბარდებოდა, რაზეც არაერთხელ მოგვმართა დაუფარავად და კატეგორიულად) და, ალბათ, დაიღუპებოდა ჩვენი უმეტესობაც და შესაძლოა, დაიღუპებოდნენ სხვა, გარეშე ადამიანებიც, ჩვენი მასპინძლების ოჯახები ან ჩვენი გამყვლები.

ქრისტიანული თვალსაზრისით კი, თვითმკვლელობა ვერ და არ ჩათვლება ცოდვად, თუ ამ თვითმკვლელობით და საკუთარი სიცოცხლის ხარჯზე ადამიანმა სხვების სიცოცხლე გადაარჩინა. ეს ნებისმიერმა ასე თუ ისე განათლებულმა მღვდელმა და ღვთისმეტყველმა იცის (თუ საგანგებოდ და

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილის ავთანდილ მარგიანის მიერ ჯ. დუდავთან და ზ. იანდარხივთან გაგზავნილი დეპეშების ქსეროუსლები.



პრეზიდენტ გამსახურდიას ნეშტის გადმოსვენების პრობლემაზე ქალბატონი მანანა არჩვამი-ბამსახურდიას ვესაუბრეთ.

ბოროტი განზრახვით არ დამალა). სწორედ და ზუსტად ასეთ მაღალზნეობრივი თავგანწირვის შემთხვევასთან გვქონდა ჩვენ შეხება.

საბუთის სახით მოვიტან ამონარიდს მართლმადიდებელი მოძღვრის დარიგებიდან: **შემათხმე: - არის თუ არა ცოდვა, როდესაც მეომარი საკუთარ თავს აიფეთქებს მტრის გარემოცვაში?** **ბასშხი:** - ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია მოტივაცია. თუ მეომარმა თავი აიფეთქა, რომ ტყვედ არ ჩავარდნილიყო, მას ეს ქმედება თვითმკვლელობად ჩაეთვლება. ხოლო თუ ეს თანამებრძოლის გადასარჩენად გააკეთა, მაშინ ამგვარი საქციელი გმირობა, მოყვანისადმი თავის დადება, ანუ სათნოება (მათ თეოდორე გიგნაძე) http://www.orthodoxy.ge/pasukhebi/pasukhebi_8.php#5

ზვიადის დაკრძალვაზე ჩემს უნებლიე და ამით მართალ სიტყვებს არსებითი მნიშვნელობა აღმოჩნდა, ჩემდა უნებურად... ალბათ, სწორედ ამიტომ წამომადგენინა განგებამ ეს სიტყვები მაშინ და კიდევ იგივე უნდა ვაგიმეორო, ზვიადმა თავი ჩემთვის (ჩვენთვის, ყოველი ჩვენგანისათვის) გაწერა, რათა თავისი სიცოცხლის ხარჯზე ჩემთვის (მრავალი ჩვენგანისათვის) სიცოცხლე ერთუქმინა! არსებობს ასეთი თავგანწირვა, თურმე... სწორედ და ზუსტად ამიტომ მსთიბთმამაღლელობა ზვიადს არა თუ ცოდვად ვერ და არ ჩათვლება, არამედ ზვიადის დიდი სათნოებისა და მოყვანობის ბრძანება!

ფინეთი, ჰელსინკი-ვანტა 2005 წლის ნოემბერი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილის ა. მარგიანის დეპეშა. 1994 წელი.

გროზო, ვიცე-პრეზიდენტ ზელიმხან იანდარხივის მადლობას მოგახსენებთ ზ. გამსახურდიას სიკვდილთან დაკავშირებული საკითხების შეთანხმებაში თანამშრომლობის სურვილისათვის. სამწუხაროდ, ჩვენი საერთო ძალისხმევა, სამთავრობო დონეზე გადაგვეწყვიტა გამსახურდიას მეუღლის მიერ კატეგორიული ფორმით წამოყენებული უსაფუძვლო მოთხოვნები, უმედეგოდ დასრულდა, იმის მიუხედავად, რომ საქართველოს მთავრობა მზადაა, უზრუნველყოს ელემენტარული სამართლებრივი ნორმების საწინააღმდეგოდ აღნიშნულ მოთხოვნათა შესრულება. განსვენებულის ცხედრის ამოცნობისათვის ჩვენს თანხმობაზე გასაგები პასუხი ვერ მივიღეთ. იძულებული ვართ, დღეს, 24 იანვარს, გავზავნოთ მოწვეული საერთაშორისო ექსპერტები. საქართველოს მთავრობამ პროფესორ შარაძეს სთხოვა, განაგრძოს მუშაობა გამსახურდიას ოჯახთან ამ საკითხების შესთანხმებლად. კიდევ ერთხელ გინდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე მარგიანი

- ქალბატონო მანანა, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტის თბილისში ჩამოსვენებამ და ამ ფაქტთან დაკავშირებულმა ამდლებულმა განწყობამ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ნეშტის საქართველოში გადმოსვენების თემა კვლავ აქტუალური გახდა. რა აზრისა ხართ ბატონო ზვიად გამსახურდიას ნეშტის საქართველოში გადმოსვენებასთან დაკავშირებით?

- საზოგადოების აზრი ერთი უნდა იყოს. უპიროვნულად ყოვლისა, სანამ ზვიად გამსახურდიას მკვლელები, რომლებიც თავისუფლად დათარეშობენ, მკვლელობის დამკვეთი ცოცხალი ბრძანდება და საქართველოში იმყოფება, ზვიად გამსახურდიას ნეშტი საქართველოს მიწას არასოდეს მიბარდება. სანამ არ იქნება მხილული და გასამართლებული პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელები, მისი გადმოსვენება არ მოხდება.

- ქალბატონო მანანა, ჰქონდა თუ არა ხელისუფლებას თქვენთან საუბარი ზვიად გამსახურდიას ნეშტის გადმოსვენების თემაზე?

- ხელისუფლება მე არაფერს მთავაზობს. ხელისუფლებას უნდა ვაჭრობა ჩემთან, მაგრამ არ გამოიყვანა. მათ უნდათ, ხელი დაეფარონ თავიანთ წინამორბედს ედუარდ შევარდნაძეს და იმ „მოქცემირელებს“, რომლებიც გამსახურდიას მკვლელობაში მონაწილეობდნენ. მათ უნდათ პრეზიდენტ გამსახურდიას მკვლელობის საქმიდან მთლიანად განწევა გაიყვანონ შევარდნაძე და მისი ბანდები. აქედან გამომდინარე, თავისთავად ცხადია, რომ ისინი მე ვერ მთავაზობენ და ვერც შემომთავაზებენ ნეშტის გადმოსვენებას. მათ ჯერ ის გააკეთონ, რაც გასაკეთებელი აქვთ. მიხედონ მათ მიერ იკავარქმნილ „კოლხურ კომეს“, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ოჯახი რომ ქუჩაში არის, იმას მიაქციონ ყურადღება. შემდგომ პასუხისმგებამ იყვანონ ის პირები, ვინც პრეზიდენტ გამსახურდიას მკვლელობაში მიიღო მონაწილეობა.

მათ არ სურთ შევარდნაძის ჩართვა ამ საქმეში, იმიტომ, რომ „მოქცემირელებს“ ისედაც შელახული სახელი ძლიან უფუჭდებათ. მე სულაც არ მაწყობს ისეთი მოუღ და სპექტაკლი, რაც დღეს ვხედავ ტელევიზიონი და რაც ჩოლოყაშვილის ჩამოსვენებას უკავშირდებოდა. მე იქ არ გყოფილვარ, არ ჩამოვლია მიხანშეწონილად. ცრუბოლიტიკოსების მიერ დადგმულ სპექტაკლს არასოდეს ვესწრები და არც მიინტერესებს მათი დივიდენდების მოსაპოვებლად ქაქუცა ჩოლოყაშვილის, ვახტანგ რაზივაშვილის თუ ზვიად გამსახურდიას გადმოსვენება. რასაკვირველია, პრეზიდენტების ცოლებს ისე არ ეუყრობიან, როგორც მე მეუყრობიან. არა უშავს, ვგენი არ არიან პრეზიდენტები და არც იციან, ლევიტიმური და კანონიერი ხელისუფლების წინაშე როგორ უნდა ისაუბრონ.

ესენი არიან სოროსელები... მოძალადეები, ყარაღები და ბანდიტები... ადამიანი, რომელიც ტელევიზიონით გამოდის და აცხადებს, ხელი არ აუკანკალდეს, ესროლო, სწორედ ასე არ აუკანკალდათ ხელი და ესროლეს ზვიად გამსახურდიას სწორედ იმ „მოქცემირელებს“ მიმართულმა. ასე რომ, მე მათგან არც შემოთავაზებას მივიღებ და არც მათთან საუბარი მსურს.

- **გორელაშვილი** (ასე იწოდებენ საუბარს ტელეფონით, გერმანიაში რედ)...
 - **გამარჯობათ. მე თინიკო ვარ, ჩითინაშვილი. ჩვენ ყველას ძალიან გვიხარია, როდესაც შენი წარმატებების შესახებ გვესმის და გვესურდა შენს შესახებ ჩვენს ჟურნალში დაგვეწერა.**
 სატელეფონო საუბარი ასე დაიწყო, შეხვედრა კი საღამოს 8 საათზე, უბრალოდ და გულთბილად, „რატკაუსთან“ შედგა. ისე, როგორც მიუნხენელი ქართველები ერთმანეთს ხშირად ხვდებიან. მიუნხენის სექტემბრის ბოლოსთვის არადაამხანსა-თებულ თბილს საღამოს, ღია ცის ქვეშ, ფინჯან ყავაზე დიდხანს ვისაუბრეთ. გავიგე, რომ მარია 18 წლისაა. უკვე 3 წელია მშობლებთან, კალბატონ ლალისთან და ბატონ ილიასთან ერთად მიუნხენში ცხოვრობს. არის გიმნაზიის 13-ე ნიჭიერთა კლასის მოსწავლე, უყვარს დოსტოევსკი, ფლობს 30-მდე დიპლომს ფიზიკის და მათემატიკის ოლიმპიადებიდან და თავისუფალ დროს ტაეკვანდოს მისდევს. თუმცა, ამაზე თანმიმდევრობით მისივე სიტყვებით:

ეს ინტერვიუ გერმანიაში გამოძავალ ჟურნალ „ქართულის“ პირველ ნომერში, მე-16-17 გვერდებზე დაიბეჭდა.
 დიდი სურვილი გექონდა მივსალმებოდით ახალი ქართული ჟურნალის დაარსების ფაქტს ჩვენი ქვეყნის გარეთ, თუმცა სურვილი ამ ეტაპზე სურვილად რჩება. გახვთ „მამულის“ რედაქტორს ერგო „ბედნიერება“, რომ საკუთარი თვალთ, „ორიგინალში“ წაეკითხა ეს ინტერვიუ და ჟურნალის კაბადონის შრეებზე საკუთარი შენიშვნებიც ჩაენიშნა.
 ამ შენიშვნების წაკითხვას რედაქტორის, ანუ გაზეთის მეორე გვერდზე გთავაზობთ, მანამდე კი გთხოვთ, წაკითხვით თავად „ავადსახსენებელი“ ინტერვიუ.

სამართლები, უან ვინ ვივცა ვვიცი დასაქვავაში!

- გერმანიაში ჯერ ბევრი არაფერი გამოკეთებია. ერთ ოლიმპიადში გავიმარჯვე და მათემატიკის დიპლომი ავიღე და მეორე - ახლანდელი სტიპენდია.
 - **თუ იმით დავიწყებთ, რომ ორ თვეში გერმანულ ენას ისე დაეუფლე, რომ გიმნაზიაში გესწავლა... მაინც რა მეთოდით თუ რეჟიმით მოახერხე ამის გაკეთება?**
 - რომ გითხრა, ვიჯექი და ორი თვის განმავლობაში დღე და ღამე ვსწავლობდი-მეთქი, ასე არ ყოფილა. უბრალოდ, სანამ გიმნაზიაში წავიდოდი, დრო მქონდა და ყოველდღე 200 სიტყვას ვსწავლობდი. მოვასწარი, თორემ მერე ამის დრო აღარ მქონდა.
 - **მე რამდენადაც ვიცი, ბავარიის განათლების სამინისტრო არ სცნობს არათუ საზღვარგარეთ, არამედ თვითონ გერმანიის სხვა ბუნდესლანდების განათლების კლასობრივ სისტემას და ხშირ, თითქმის უმრავლეს შემთხვევაში მოსწავლეები წელს კარგავენ.**
 - მე მოვიგე. მე-10 კლასში ვიყავი საქართველოდან რომ წამოვედი. ერთი სემესტრი სკოლაში საერთოდ არ მივლია. თებერვალში მეთუ კლასიდან გაეკარგებულე და ნიჭიერ ბავშვთა კლასშიც მოვხვდი.
 - **ეს როგორ?**
 - უბრალოდ. მივედი დირექტორთან და განვუცხადე, რომ მის სკოლაში მინდოდა სწავლა და ამის მიზეზად სკოლაში ნიჭიერ ბავშვთა კლასის არსებობა დაუვსახელე. იმანაც, შესაბამისად, მომიხოვა, ჯერ მისთვის დამესაუბრებინა, რომ ამის მოთხოვნის საფუძველი მქონდა (რასაც ჩემი დიპლომები დამეხმარა) და შემდეგ მათემატიკის მასწავლებლისთვის, რომ ნიჭიერი ბავშვი ვიყავი. ეს შემოწმებაც გავიარე და სწავლა დავიწყე.
 - **თავის გართმევა, როგორც ჩანს არ გაგიჭირდა. როგორც ვიცი, ცოტა ხანში მოსწავლეებიც მოგიჩინეს.**
 - ეს ჩვეულებრივი დახმარების გაწვევა მოსწავლეებისთვის, რასაც „ნახიზილავს“ ეძახიან. უბრალოდ, საჭიროა მაღალი ნიშნები და მასწავლებლის ნებართვა, ჩაატარი გაკვეთილები.
 - **როგორ და სად აღმოგჩინეს?**
 - ვსწავლობდი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. ჩემი ახლანდელი ნათლია ეძება მე-9 კლასელ ნიჭიერ ბავშვებს. მე მე-5 კლასში ვიყავი, მაგრამ ჩემი მასწავლებლის რეკომენდაციით ამიყვანა და პირველად მაშინ ავიღე პირველი ადგილი მე-9 კლასელ ბავშვებთან. დავიწყე მეცადინეობა და მათემატიკის მე-9 კლასის პროგრამა მეხუთეში გავიარე. ამის შემდეგ, თითქმის ყველა ფიზიკის და მათემატიკის ოლიმპიადებზე პირველ ადგილ-

ზე ვიყავი. ჩემი ასაკის ბავშვებში ნომერ პირველი ფიზიკოსი ვიყავი და მათემატიკის პირველ სუთუელში.
 - **ალბათ, კითხვაც არ უნდა, რომ შენი მომავალი პროფესიაც ამ ორ საგანს უკავშირდება.**
 - არა. სამედიცინოზე ჩაბარება მაქვს გადაწყვეტილი.
 - **ფიზიკა და მათემატიკა?!**
 - მე ბიოლოგიაც კარგად ვიცი და ქიმიაც. სხვა პროფესიაზე არც მიფიქრია. ჯერ ერთი, ალბათ იმის გამო, რომ დედა ექიმი მყავს და მეორეც, მინდა ჩემი ცოდნა და ენერჯია ადამიანების ჯანმრთელობას და სიცოცხლეს მოვახმარო.
 - **შენი გადაწყვეტილება თუ უკავშირდება რამენაირად საქართველოს. ჩვენს საუბარში ახსენე, რომ აქაური სიტუაციის და მეგობრების დათმობას არ აპირებ.**
 - ჩემი საქართველოში საცხოვრებლად დაბრუნება გამორიცხვულია. იქ ჩემი ცოდნა და შრომა არასდროს არ დაფასდება. მე აქ 10 წელი უნივერსიტეტში იმისთვის ვერ ვისწავლი, რომ საქართველოში ჩავიდე და 100 ლარზე ვიმუშავო.
 - **თუ შენთვის პრიორიტეტი ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე ზრუნვაა, საქართველოში უფრო ფართო ასპარეზი გაქნებოდა, ვიდრე აქ. ამაში ხელს მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტების ნაკლებობაც და საშველად ადამიანთა სიჭარბეც შეგიწყობდა.**
 - იმ სფეროში, სადაც მე მუშაობას ვაპირებ, აქაც ბევრს სჭირდება დახმარება.
 - **რა სფეროში აპირებ მუშაობას?**
 - ფსიქოთერაპიაში. მე რომ საქართველოში ჩავიდე და გამოვაცხადო, ფსიქოთერაპევტი ვარ და პრობლემების შემთხვევაში ჩემთან მობრძანდით-მეთქი, ახლოს არავინ გამეკარება. ერთ-ერთი გვემა საქართველოსთან დაკავშირებით ის მაქვს, რომ წითელ ჯვართან თანამშრომლობით, 2-3 კვირიანი ვიზიტებით ჩავიდე და უფასოდ მოვემსახურო ავადმყოფებს.
 - **გაქვს უშუალო კავშირი წითელ ჯვართან?**
 - კი, სკოლაში პირველი დახმარების გუნდში ვარ. რა თქმა უნდა, გავიარე სპეციალური მომზადება და ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვარ მზად დახმარების გასაწვევად.
 - **მაინც რა ფინანსური საქართველო შენივს. რა დატვირთვა აქვს მას?**
ფარიძე ჩვენი საერთო მეგობრის პანაშვიდზე შეგხვდა, საოცრად ლამაზი და სველიანი, სიცოცხლის მომნიჭებელი თვლები ჩამქრალი ჰქონდა. მისი სიცოცხლე დამთავრდა რეზოსთან ერთად.

- ბატონო გივა, რამდენი წლისამ დადგით ეს სპექტაკლი?

- 30 წლის გახლდით. 1949-50 წლებში უკვე სპექტაკლები მქონდა დადგმული მოსკოვში. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ვმუშაობდი ვილნიუსის რუსულ თეატრში, კაუნასის მუსიკალურ-დრამატულ თეატრში დადგე 7 სპექტაკლი. საქართველოში თავდაპირველად გორის თეატრში ვმუშავებდი (მაშინ მთავარი რეჟისორი ვასო ყუბიაშვილი იყო). პარალელურად მიმიწვიეს თეატრალურ ინსტიტუტში, შემდეგ გადმოვიდი მარინეშვილის თეატრში, მე და ლილი იოსელიანი ვხატან ტაბლიაშვილის მიწვევით მივედი. კატეგორიული წინააღმდეგი ვარ იმისა, რაც ახლა დამკვიდრდა - თეატრში სპექტაკლებს დგამს მხოლოდ ერთი რეჟისორი. ეს დაუშვებელია. აღარ არის კონკურენცია. ასე თეატრი ვერ განვითარდება. ისე გამოდის, რეჟისორს თუ მუშაობა უნდა, თავისი თეატრი უნდა გახსნას. კი, მაგრამ, რამდენი სარდაფის თეატრი უნდა გახსნას?! ამასწინათ ვხუმრობდი, - თავგებმა დიდი პროტესტი გამოთქვეს, ყველა სარდაფში თეატრი იხსნებო.

- ამ სპექტაკლისთვის მუსიკა ვინ დაწერა?

- შესანიშნავია კომპოზიტორ-



ქალბები სპექტაკლიდან „მარინე“ („ჭრიჭინა“), 1958 წელი

„მარინე“ სპექტაკლურად მელა ჯაფარიძისთვის დაწერა?

- ალბათ, ჭრიჭინაში მელიკოს გულსხმოადა. 1954 წელს შემომთავაზეს ამ პიესის ეკრანიზაცია, უნდა გადაემუშავებინათ ფილმი „ჭრიჭინა“. დავიწყებე მუშაობა, მთავარი როლზე, რა თქმა უნდა, უნდა მომეწვია მედიკო ჯაფარიძე (სპექტაკლამდე 4 წლით ადრე). სამწუხარო ის იყო, რომ მთელ ამ პროცესში ერეოდა ცეკა, ზემდგომი ორგანოები. ამჯერადაც ჩაერივნენ და მელას მონაწილეობაზე უარი განაცხადეს (მიზეზად ასაკი დამისახელეს). არადა, ამ დროს მედიკო ახალგაზრდა იყო, ბავშვით გულუბრყვილო, ცქვიტი. მედიკო ამ როლზე არ დაამტკიცეს, ფილმის გადაღებაზე მეც უარი ვთქვი.

- დღეს ნახობთ?

- არა. სწორად მოვიქეცი. მე მსახიობის ერთგული რეჟისორი ვარ. თუ როლისთვის ჩემ მიერ შეჩვენებული მსახიობი რაღაც მიზეზების გამო არ ითამაშებს, მაშინ საერთოდ უარს ვამბობ იმ ფილმის გადაღებაზე თუ სპექტაკლის დადგმაზე. მაგალითად, კინოსტუდიის სამხატვრო საბჭო მელაშვილს თუხუცესს არ ამტკიცებდა თუთაშხიას როლზე, მაგრამ მე კატეგორიული წინააღმდეგი ვაყვედი. თუ ოთარი არ ითამაშებდა, ფილმი არ გადავიღებდი. შემდეგ, როცა „დათა თუთაშხია“ გამოვიდა, ჰაბუა ამირეჯიბმა თქვა: თითქმის ასამდე პერსონაჟია შეჩვენებული, ერთ მსახიობზე ვერ იტყვი, როლისთვის შეუფერებელია... კოტე მარინეშვილი ამბობდა, როლებს განაწილებდნენ წარმატების 50 პროცენტით. მე კოტა მეტ პროცენტს მივცემდი.

- სპექტაკლში მონაწილე მსახიობებიდან თითქმის ყველა გარდაცვლილია...

- დიახ, მე დავრჩი რეჟისორი და სცენარის ავტორი, ქალბატონი მარიკა ბარათაშვილი. მასთან დღემდე კარგი ურთიერთობა

მაქვს. მირეკავს ხოლმე და მეკითხება, - ის რამ მოგაფიქრებინა, ბოლო სცენაში სოფელში მერე ჭრიჭინას სიმღერა რომ ისმისო...

მელა სპექტაკლში ხომ ჭრიჭინას სიმღერას ასრულებდა (ოღონდ იმ სიმღერას არა, რაც ფილმში ყლდრეს). ბოლო ეპიზოდში ჭრიჭინა სცენაზე იდგა, სცენის სიღრმიდან კი ისმოდა სიმღერა - ვიღაც გოგონა (ნუნუ ხეთერელი) ხეზე იჯდა და მღეროდა, ე. ი. ცხოვრება გრძელდება, ჭრიჭინა კიდევ აგრძელებს ცხოვრებას ამ სოფელში.

- მელა ჯაფარიძე განიცდიდა, ფილმში მონაწილეობა რომ ვერ მიიღო?

- დიახ, ძალიან განიცადა, მაგრამ ეს გულსტკივილი სპექტაკლში წარმატებამ შეუსუსტებდა. მანსოვს, სპექტაკლი ჩავიტანეთ ერევანში. თეატრი სომხეთის მაშინდელმა კათალიკოსმა ვაზგენმა მიიღო. ოთახში შემოსული მედიკოს სილაშხლით აღფრთოვანებული ვაზგენი გამეტყრდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, - ეს რა სილაშხლე ვიხილეო. მოხსენა უძვირფასესი ბრილიანტის ბეჭედი და მედიკოს თითზე გაუყვითა.



მელა ჯაფარიძე მარინე (ჭრიჭინა)



გენრიეტა ლეჟავა ჭრიჭინას ბუბია



აკაკი კვანტალიანი ჭრიჭინას მამა (ნიკიფორე)

ტაკლების აღდგენა მიფიქრია. ერთხელ რომ შედგენა შემოქმედებული ტანდემი, იმას აღარ უნდა მიუბრუნდე. ჩემი სპექტაკლები სცენაზე დიდ ხანს ცოცხლობდნენ. კვლავ თავიდან ვაზგენი ვამეტყრდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, - ეს რა სილაშხლე ვიხილეო. მოხსენა უძვირფასესი ბრილიანტის ბეჭედი და მედიკოს თითზე გაუყვითა.

შემდეგ აბსოლუტურად შეიცვალა, გატყდა, მეუღლის სიკვდილმა მას უდიდესი ტრავმა მიყენა. ძნელად თუ მოიძებნებდა ისეთი წყვილი, როგორებიც მელა და რეზო იყვნენ. მანსოვს, ცისფერ პერანგში ჩაცმულ რეზოს რუსთაველის პროსპექტზე გვერდით მოჰყვებოდა ვარდისფერ კაბაში გამოწყობილი მელა. მსგავსი წყვილი არასდამინახავს. ბოლოს მელა ჯა-

მა არჩილ კერესელიძემ.

- დღეს რა სპექტაკლზე მუშაობთ, ბატონო გივა?

- ახმეტელის თეატრში ვდგამ ამერიკულ მიუზიკლს „ლამანჩელი“ (დონ კიხოსის მიხედვით). მთავარ როლზე ნუნუ ხარაშვილი ავიყვანე. მოვიწვიე ახალციხელი მსახიობი კახა გოციძე. პრემიერა მომავალი თვის შუა რიცხვებში შედგება.

ზომიერთი რჩევა სადღესასწაულო მაგიდის გაშლის შესახებ

თითოეული დიასახლისი თავისებურად აწყობს დღესასწაულო მაგიდას. ერთს მეტად მოსწონს ფერადი სუფრა, მეორეს უჯრედებიანი ან ღაჩითული, ხოლო მესამე უპირატესობას ანიჭებს თეთრ სუფრას.

მაგრამ, მიუხედავად ჩვენი გემოვნებისა, სადღესასწაულო მაგიდას ყველაზე მეტად უხდება თეთრი, ქათქათა, გახამებული სუფრა.

მიზანშეწონილია, სუფრის ქვეშ მაგიდას გადავფაროთ სქელი ქსოვილი, რომელიც მას დაიცავს დაზიანებისაგან და თან ჭურჭელი არ იხმაურებს. აქვე უნდა ავლნიშნოთ, რომ სადღესასწაულო თეთრ სუფრაზე ცელოფენის გადაფარება არ არის მიზანშეწონილი.

რა თქმა უნდა, სადღესასწაულო სუფრაზე უნდა გამოვიტანოთ საუკეთესო ჭურჭელი. სასურველია სუფრის გაწყობა მოლიანი სერვისით - ერთსახოვანი მოყვანილობის და ფერის ჭურჭლით. სადღესასწაულო სუფრაზე პირველი თავი საჭმელი ძირითადად არ მიიტანება, ამიტომ ღრმა თუფუშების დაწყობა არ არის საჭირო. მაგიდაზე ვაწყობთ ორ თუფუშს, ძირითადი ცხელი საჭმელებისათ-

ვის და ზემოდან პატარა თუფუშს საუზმისათვის.

თუ მაგიდის გაშლა გვსურს ყველა წესების დაცვით, როგორც თუფუშის რაოდენობა, ასევე დანა-ჩანგალი და ჭიქები უნდა დაიწყოს რამდენიმე სახის, იმის მიხედვით, რამდენი თავი საჭმელი და სასმელია, მაგრამ უფრო მოხერხებულია შემოვიფარგლოთ ორი სახის თუფუშით.

შემდეგ ვალაგებთ დანა-ჩანგალს; დანას ვდებთ თუფუშის მარჯვენა მხარეს, გაღვილი პირი თუფუშისაკენ; ჩანგალს ვდებთ მარცხნივ, ამობურცული მხარე ქვეით. თუფუშის წინ ვდებთ პატარა დანას (ხილისათვის), ჩანგალს ტორტისა და სხვა ნამცხვრისათვის, ჩაის კოვზს ნაყინისა და სხვა ჩაროზისათვის.

ჭიქებს ვაწყობთ თუფუშის წინ, ოდნავ მარჯვნივ, რომ ასაღებად მოხერხებული იყოს; სასურველია ჭიქები იყოს ერთი სახის, განსხვავებული მხოლოდ ზომით.

ბოლო დროს ხმარებაშია ქალაქის ხელსახოცები, მაგრამ სადღესასწაულო მაგიდაზე მიზანშეწონილია ქსოვილის ხელსახოცები, რომლებიც შეიძლება დავლოთ თუფუშე ზევიდან,

გვერდით და მივცეთ სხვადასხვა ფორმა. მაგიდაზე ცალკე შეიძლება მივიტანოთ ქალაქის ხელსახოცებიც, სპეციალური ჩასალაგებლებით.

სუფრის გასალამაზებლად შეიძლება დავდგათ რამდენიმე ლარნაკი ყვავილებით. დიასახლისთან ახლოს საჭიროა იდგეს პატარა მაგიდა, სადაც მოთავსდება სხვადასხვა ჭურჭელი და სუფრისათვის საჭირო საგნები.

ცივი საჭმელი ადრევე ლაგდება მაგიდაზე. ცენტრალურ ადგილებში იდგება ოჯახის საფირმო საჭმელები, ისეთიანად, რომ სუფრის ყველა წევრმა ადვილად დაინახოს და მიწვევს გადმოსაღებად. აქვე იდგება სხვადასხვა სახის საწყებლები - მარილი, მღოვავი და სხვა.

პური იჭრება თხელ, პატარა ნაჭრებად და მიიტანება სპეციალური საპურეთი ან ჩვეულებრივი თუფუშით.

თუ სტუმრად გეწვევათ 5-6 კაცი, ცხელი საჭმელი იდგება მაგიდაზე დიდი ლანგარით, ხოლო თუ სუფრა მრავალრიცხოვანია, საჭიროა ჩამოტარება. მაგიდის თითოეულ წევრთან მიტანა ხდება მარცხენა მხრიდან და სტუმარი ლანგარიდან თავად იღებს საჭმელს სასურველი რაოდენობით.

მჭადი და ღომი მაგიდაზე მიიტანება ცხლად. მჭადი სასურველია პატარა-პატარა გამოცხვეს, რომ დაჭრა არ დასჭირდეს. მჭადები ლაგდება



რუბრიკის პრემიერა

პურთან ერთად, ღომი მიიტანება პატარა საუზმის თუფუშით.

სასმელის ბოთლები, გარდა შამპანურისა, სუფრაზე მიტანის წინ გაიხსნება.

კარგად გარეცხილი ხილი სპეციალურ ლარნაკებით ჩაიდგება. თუ სუფრა მრავალრიცხოვანია, ხილი განაწილდება რამდენიმე ადგილას.

ტკბილეულის მიტანის წინ საჭიროა სუფრიდან ავილოთ დაცლილი ჭურჭელი, საწყებლები და სხვა.

ასევე უნდა მოსუფთავდეს მაგიდის საფარი.

ნახმარი თუფუშის, დანა-ჩანგლის და სხვა ჭურჭლის შეცვლა საჭიროა მოხდეს სწრაფად და ხმაურის გარეშე.

გასუფთავებული, გარეცხილი ფრინველი ქვაბში მოვათავსოთ, დავასხათ წყალი, დავდგათ ცეცხლზე და ნახევრად მოვხარშოთ. მერე ამოვიღოთ წვენიდან, დავლოთ თუნუქის ფურცელზე და შევდგათ აირლუმულში შესაწვავად.

ბულიონს მოვხადოთ ცხიმით და მასში მოვშუშოთ ხორცსაკვებ მანქანაში გატარებული ხახვი. შუშის დროს დავამატოთ ბულიონიდან მოხდილი ცხიმი და თან ვურიოთ, რომ არ დაიწვას. როცა ოდნავ ვარდისფერს მიიღებს, ჩავასხათ ბულიონში.

ნიგოზი ხორცსაკვებ მანქანაში ორჯერ გავატაროთ.

ყვითელი ყვავილი (ზაფრანა) კარგად დავნაყოთ მარილთან ერთად, ჩავანაყოთ ნიორი, ავურიოთ ნიგოზში და ხელით ვსრისოთ, სანამ საკმაო

რაოდენობის ზეთს არ გამოვხდით. ცალკე დავნაყოთ ნიგოზთან ერთად უცხო სუნელი, დარიჩინი, მისაკი, ქინძი მარცვლები, წიწყა.

ყველაფერი ეს გავხსნათ თბილ ბულიონში, კარგად მოვურიოთ, გავატაროთ საცერში და დავდგათ ნელ ცეცხლზე მოსახარმად.

ორი კვერცხის გული გავხსნათ ერთ სუფრის კოვზ მარში და როცა საცივი თითქმის მზად იქნება, ნელა ჩავასხათ და თან სულ ვურიოთ, რომ არ აგვეჭრას. აღულებამდე ჩავაწყვიტოთ შივ ნაჭრებად დაჭრილი შემწვარი ინდაური ან ქათამი და წამოდულები-სთანავე გადმოვდგათ ცეცხლიდან. როცა მზად იქნება, საცივი ამოვიღოთ ლანგარზე და სუფრაზე მიტანის წინ მოვასხათ ნიგოზიდან გამოხდილი ზეთი.

ინდაურის ან ქათმის საცივი



ინდაური ან ქათამი ნიგოზი - 500-500გრამი
ხახვი - 4-5 თავი
ზაფრანა - 2 ჩაის კოვზი
უცხო სუნელი - 4ჩ/კ
ხმელი ქინძი - 2 ჩ/კ
მისაკი - 3-4 ცალი
დარიჩინი - 1 ჩაის კოვზი
ნიორი - 4 კბილი
ძმარი - 1 სუფრის კოვზი
ნახარში წვენი - 10 ჩაის ჭიქა
მარილი, წიწყა - გემოვნებით.

ხორცის ტოლვა

ხორცის რბილი ნაწერი ხახვთან ერთად ორჯერ გავატაროთ ხორცსაკვებ მანქანაში, დავამატოთ მარილი, პილპილი, უმი ბრინჯი, წვრილად დაჭრილი სხვადასხვა მწვანილი, გათქვეფილი კვერცხი და ერთად კარგად ავზილოთ.

კომბოსტოს თავი სათითაო ფოთლებად დავარჩიოთ, მოვაჭრათ მაგარი ნაწილები, ჩავდოთ აღულებულ წყალში და 3-5 წუთის განმავლობაში გავთუთქოთ. შემდეგ თითოეულ ომბოსტოს ფოთოლში შევავსებოთ გამზადებული ხორცის გუფთები, ჩავალაგოთ ქვაბში, დავასხათ ძვლებიდან მიღებული ბულიონი ან ცოტა წყალი, დავამატოთ ხორცსაკვებ მანქანაში გატარებული პამიდორი (ან ერთი ჭიქა ტომატი) და დავდგათ მოსახარმად. როცა მზად იქნება, ლანგარზე ამოვიღოთ და ზედ თავისი ნახარში წვენი გადავასხათ.



ცხვრის ხორცის ხარშო

ცხვრის ხორცი - 1კგ
ხახვი - 5 თავი,
ბრინჯი - 1 ჩაის ჭიქა,
ქინძი, ნიორი, წიწყა,
ტყემალი (კვანარახი, მამარაბი),
პილპილი, მარილი - გემოვნებით.

მსუქანი ცხვრის ხორცი დავჭრათ, გავრეცხოთ, ჩავყაროთ ქვაბში, დავამატოთ დაკეპილი ხახვი, დავდგათ ცეცხლზე და მოვშუშოთ. დავასხათ მღუღარე წყალი, იმდენი, რომ ხორცი კარგად დაიფაროს. ჩავყაროთ დარჩეული და კარგად გარეცხილი ბრინჯი. შევაზავოთ დანაყილი ნივრით, ქინძით, წიწყით და მარილით. დავუმატოთ გამზადებული ტყემლის საწყებელი, კვანარახი ან მამარაბი, პილპილი და ვხარშოთ, სანამ ხორცი მზად არ იქნება.

ლობიო მოვხარშოთ ჩვეულებრივი წესით, მხოლოდ ისე, რომ ძალიან არ ჩაიშალოს. გადავწუროთ ნახარში, დავნაყოთ ნიგოზი, ნიორი, ხმელი სუნელი, ქინძის თესლი, მარილი, წიწყა, გავხსნათ ძმარში და ავურიოთ მოხარშულ ლობიოში ისე, რომ ლობიოს მარცვლები არ დაიწყვიტოს. გადავიტანოთ ლანგარზე და ზევიდან მოვაყაროთ რგოლებად დაჭრილი ხახვი, წვრილად დაჭრილი ქინძი და ოხრახუმი.



რბილი ხორცი - 1 კილოგრამი
კომბოსტო - 1 კილოგრამი
ბრინჯი - 0,5ჩაის ჭიქა
პამიდორი - 1 კილოგრამი
ხახვი - 3-4 თავი
კვერცხი - 2 ცალი
მწვანილი, პილპილი,
მარილი - გემოვნებით



ხინკალი

ღორის ან ცხვრის ხორცი 1 კგ,
ხახვი-5 თავი,
მარილი-გემოვნებით,
მწვანილი, პილპილი,
კვერცხი-1 ცალი.



ღორის, ან ცხვრის ხორცის რბილი ნაჭრები დავჭრათ და ხახვთან ერთად ხორცსაკვებ მანქანაში გავატაროთ. ავურიოთ შივ დანაყილი პილპილი, მარილი, ოხრახუმი, ქინძი, ქონდარი, იმდენი თბილი წყალი, რამდენსაც შეიწოვს ხორცი (დაახლოებით ერთი ჩაის ჭიქა).

მოვხილოთ მაგარი ცომი ოდნავ მარილიანი ნახევარი ლიტრი წყლითა და კვერცხით. კარგად გავაბრტყელოთ, გამოვჭრაოთ სპეციალური ხის საჭრისით და კიდე გავაბრტყელოთ. თითოეულ ცომზე მოვათავსოთ ერთი სუფრის კოვზი მომზადებული ხორცი, ნაპირები შემოვკეცოთ, მოვვრისოთ და კუჭი დავტყეპნოთ ისე, რომ მოხარშვის დროს არ გაიხსნას. ასე მომზადებული ხინკლები ჩავყაროთ მარილიან მღუღარე წყალში და ვხარშოთ; ქვაბი ხანგამოშვებით ვატრიალოთ, რომ ხინკალი ძირზე არ მიეკრას. როცა ყველა ხინკალი წყლის ზევით ამოტივტივდება, კიდე ვუთი წუთი ვაძულოთ და ამოვალაგოთ ქაფქირით. სუფრაზე ხინკალთან ერთად მივიტანოთ დანაყილი პილპილი.

ღორის მფვალი

მსუქანი ღორის ხორცი (უმჯობესია ზურგის ნეკნებიანი მხარე, ბარკლის ნაჭერი და სხვა) დავჭრათ საშუალო ზომის ნაჭრებად, მოვაყაროთ მარილი და შევდგათ მაცივარში რამოდენიმე საათით. შემდეგ წამოვავოთ შამფურზე და შევწვათ ნაკვერჩხალზე; შამფური სულ ვატრიალოთ. როცა მწვალი მზად იქნება, მოვაყაროთ მრგვლად დაჭრილი ხახვი და შემოვუწყოთ ოხრახუმის ფოთლები. სუფრაზე მწვადთან ერთად, ცალკე, მივიტანოთ ბროწეულის ან ტყემლის საწყებელი.



გოჭი კარგად გავასუფთავოთ, გავრეცხოთ, წაუუსვათ მარილი მუცლის ღრუში და გარედან. ძალიან წმინდად დავნაყოთ წინასწარ ცხელ წყალში დამალი წიწყა, ნიორი, ქინძი, კამა, ოხრახუმი, რეპანი. ეს ყველაფერი გავხსნათ ნიგოზიდან გამოხდილ ზეთში და გოჭს წაუუსვათ როგორც შიგნით, ასევე გარეთაც. ამ ნაერთის მაგიერ, შეწვის დროს შეიძლება ხანგამოშვებით წაუუსვათ ერთი ან წყალი. გოჭი შეიძლება შეიწვას როგორც ლუმელში, ასევე ნაკვერჩხალზე, შამფურზე წამოცმული.

ლობიო ნიგოზით

ლობიო - 1 კილოგრამი
ქინძის თესლი - 2 ჩაის კოვზი
ხახვი - 2 თავი
ოხრახუმი, ქინძი - 4-4 ძირი
ნიგოზი - 2 ჩაის ჭიქა
ხმელი სუნელი - 2 ჩაის კოვზი
ძმარი - 0,5 ჩაის ჭიქა
მარილი, ნიორი,
წიწყა - გემოვნებით



ცხელი აგვისტოს დღეა თენ-
დებოდა ჩინეთის დედაქალაქში, რო-
დესაც საფრანგეთის ავიაზაზების
თვითმფრინავი ათსათიანი ფრენის
შემდეგ ნახევარი საათის დაგვიანე-
ბით პეკინის აეროპორტში დაეშვა.
ვიდრე ვეროპლემბა ჩვეული სამად-
ლობელი ტაში შემოკრეს და დინ-
ჯად ქაშის შესწის ბრძანებას
ელოდნენ, ჩინელები უკვე (ჩემთვის
სამშობლოდან ცნობილი სულსწრა-
ფობით) „აბარგებულიყვენ“, ანუ
თვითმფრინავის ხელბარვის განყო-
ფილებიდან ჩანთებიც გადმოელოთ,
მობილური ტელეფონებიც ჩაერთოთ
და მუგულუგუნების რტყმევი ვერ
კიდევ მოძრაობაში მყოფი მანქანის
კარისაკენ იკაფავდნენ გზას. „ბევრი
არაინ და ამგვარი მეთოდებით ცხოვ-
რობენ“ - ამისხსნა შემდეგ ჩინეთ-
ში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამუ-
ლემ, როდესაც ტაქსის გაჩერებისას
ჩემი განცვიფრებული სახე შენიშ-
ნა. „ბავშვობიდან ასწავლიან, რომ
ბრძოლა ცხოვრება, ყოველ ნაბიჯ-
ზე უნდა იბრძოლო, მოასწრო, გზა
გაიკაფო“, ხოდა, ესენიც იბრძვიან -
სკოლაში, სახლში, თვითმფრინავში,
ქუჩაში, ბაზარში... არადა, დამთავ-
რებით, დიდი ვაჟკაცობა უნდა, ებ-
რძილო მძლიარდ ან თუნდაც მხო-
ლოდ შენს ქალაქში თუ უბანში
მცხოვრებ რამოდენიმე მილიონ კაცს.
ამ ბრძოლაში იყენებ ჩვენი უმ-
ცროსი (რად დროს საბჭოთა კავ-
შირია და ახლა, ალბათ, უკვე უფ-
როსი) „მძები“, როდესაც თვითფრ-
ინავი შეჩერდა, კარი გაიღო და სა-
ლონი სასწავლებელი სისწრაფით და-
ცარიელდა - ჩინეთის მოქალაქე-
ბისათვის ათი, ხოლო სხვა ქვეყნე-
ბის შვილებისათვის სამი საპას-
პორტო შემოწმების პუნქტი ელო-
და ჩამოსულთ. კარგია, საკუთარ
ხალხს დიდ პატივს სცემენ-მეთქი,
ვიფიქრე და ჩვენითვის გამოყოფილ
გრძელ რიგში ჩავდექი. თანაც გუ-
ლი დამწყდა, ვერცერთ ქვეყანაში
ვერ აღმოვჩნდი „მოკლე რიგში“.
ვერობის, ამერიკის და აგერ აზიის
აეროპორტებშიც იმ „სხვა ეროვნე-
ბათა“ შორის ვიყავი, საგულდაგულო
საპასპორტო შემოწმებას რომ საჭი-
როებენ და დაუსრულებელ რიგში
რომ იციან. სასაცილოა, მაგრამ სა-
ქართველოშიც „გრძელ რიგანები“
ისევ ჩვენ, ქართველები ვართ ხოლმე...
უცხოეთის ცივ ქვეყნებში მცხოვ-
რები ქართველები მზის, სითბოს სიყ-
ვარულით და სიცხის ამტანობით
ვიწონებთ თავს მაშინ, როდესაც ვე-
რობის ქვეყნებში სიცხეს მოუწვევე-
ლი მოსახლეობა მაღალი ტემპერა-
ტურის გამო იღუპება. ამას ნების-
მიერი ქართველი დაიკვირნის-თქო,
მეგონა, ვისაც ზაფხულის თვეები
ჩვენს დედაქალაქში გაუტარებია. მა-
გრამ ის, რაც აეროპორტიდან გა-
მოსვლისას ქალაქში ტრიალებს,
სიცხედ ვეღარ იწოდება, ამას ალ-
ბათ რაიმე ჩინური სიტყვა თუ აღ-
წერს, თორემ ქართული? ალბათ
ვერა. ეს სიცხეა პეკინის მოსახლე-

ობა მხოლოდ ღამის სამოსსა და
საცვლებში რომ გამოჰყავს ქუჩებ-
ში, ფეხით მოსიარულით მაისურს
რომ აკეცინებს მკერდამდე, ასობით
ველოსიპედით მგზავრს საგზაო მოძ-
რაობის განურჩევლად სხვადასხვა
მიმართულებით დაბნეულებს რომ
დაატარებს და დაღლილებს იქვე
გზის პირას მხარ-თეობზე წამოწო-
ლილს რომ აძინებს.
თუმცა ვიდრე დაიძინებდნენ -
ჭამის დროა ჩინეთში... ჭამა კი,
მოგესხენებათ, ყველაზე წმინდა და
მთავარი რიტუალია მთელს 9,6
მილიონ კვადრატული კილომეტრ-
ის ფართობზე (აკი მთელი მსოფ-
ლიო მოფენილია ჩინური რესტორ-
ნებით, თუმცა აქვე გეტყვით, რომ
აქაურ საჭმელს ჩვენთვის ცნობილ
ჩინურ სამზარეულოსთან არაფერი
აქვს საერთო). „გახდება თუ არა
12:00 საათი ვერცერთს ვეღარ ვპო-
ულობ, საჭმელად გარბიან, მერე კი
სძინავთ ზოგს საღ და ზოგს საღ“
- მიყვება თავის მომუშავეებზე ჩი-
ნეთის ერთ პატარა პროვინციაში
მოღვაწე ქართველი-ბიზნესმენი.
„ტაქსი რომ ჩაჯდე და 12:00
საათი გახდეს ადგილზე ჩამო-
სვამს - შშია ახლა მეო“ - მხარს
უბამდნენ სიცილით სხვებაც. მხელად
თუ იბოვი რესტორანში ადგილს
დღის თორმეტსა თუ საღამოს ექვს
საათზე, ანუ იმ დროს ნებისმიერი
ფენის წარმომადგენელი ჩინელი ნე-
ბისმიერ გადაუღებელ საქმეს გადა-
დებს და მსოფლიოს ნებისმიერ ქვე-
ყანაში ცნობილ კერძებს შეეცევა.
თუკი ბედმა გაგიღიმათ და რესტო-
რანში ადგილი გამოჩნებთ, სათნოდ
მოგემსახურებიან და „თავზეც და-
გადებებიან“ მომსახურე გოგო-ბიჭე-
ბი. „თავზე დაგადებებიან“? - გა-
ვიკვირდებოდა ალბათ. დაიხ, ისინი
მთელი ჭამის განმავლობაში დიდი
პატივით თვალბეჭდებში შემოგეჭერიან,
რათა ეგრევე დააკმაყოფილონ თქვენი
ნებისმიერი სურვილი.
დიდი ქალაქის დათვალეობის
შემდეგ პირადად ჩემი სურვილი
მათი სამზარეულოს გასინჯვა იყო.
დიდხანს ვცდილობდით მშობრნი ჩი-
ნური ჯოხებით საჭმლის პირამდე
მიტანას (თანაც შურის თვალთ
უეყურებით გვერდზე მაკიდასთან
მსხდომ ჩინელებს ბრინჯის თითო-
ეულ მარცალს რომ კრეფდნენ თეფ-
შიდან), შემდეგ მოთმინების ფიალა
ავგვესო და ჩანგლები მოვიტხო-
ვეთ. ამას კი, როგორც მოსალოდნე-
ლი იყო, იქვე მდღომი ოფიციატე-
ბის ხითხითი და გახალისება მოჰ-
ყვა. გავნაწყენდი, შემდეგ ბერლინის
ერთ კავკასიურ რესტორანში მსხდო-
მი გერმანელი წყვილი გამახსენდა,
ხინკალს დანა-ჩანგლით რომ მიი-
რთმევდა და მეც გამედიმა...
ჭამაზე მოგახსენებთ და მოდი
პეკინის რუსულ უბანში „თაბალოუ“-
ზე გადავინაცვლოთ, სადაც ჩინურ
სამზარეულოს (ალბათ ჯოხებსაც)
თუ „ზედმეტ ყურადღებას“ გამოქ-
ცეულ და რუსულ რესტორანს შე-

ინოვაციური რეზიდენცია

ჭეჭყიანი ჩინეთიდან

იმ, სადაც 5 ათელინო გაყვანილია ადგილობრივი მკვირვართან

კვლევებულ ყოფილი საბჭოთა კავ-
შირის ქვეყნების წარმომადგენლებს
შეხვედებით. ცალკე დარბაზში გან-
ცალკევებული, აქ თხუთმეტი ქარ-
თველი ჩინეთის ქართული სათვის-
ტომოს დაარსებას აღნიშნავდა. სულ
რამოდენიმე თვის წინათ ჩინეთის
დედაქალაქში საქართველოს საელ-
ჩო გაიხსნა (ჩვენს სამშობლოს დღეს-
დღეობით მილიარდიან ქვეყანაში
ორი კაცი წარმოადგენს და საელ-
ჩოსა თუ საკონსულოს მუშაკთა
ყველა საქმიანობას ითავსებს). გაწ-
კრიალებულ ოთხსართულიან შენო-
ბაში შეკრებილი სტუმრები საელ-
ჩოს საკუთრებაში მყოფ ხუთ სკამს
იყოფდნენ. დიდი ჩინეთის სხვადას-
ხვა კუთხეებიდან სათვისტომოს და-
საარსებლად ჩამოსულ ქართველებს
ელჩი მიესალმა, სკამების უკმარის-
ობაზე ბოლოში მოუხდა (დასძინა,
რომ ავეჯს ხვალ მოიტანდნენ აუ-
ცილებლად) და ახლად დაარსებუ-
ლი წარმომადგენლობის გეგმებს, ჩი-
ნეთის პროვინციებსა და საქართვე-
ლოს სხვადასხვა კუთხეების დამე-
გობრებაზე ესაუბრებოდა. სათვის-
ტომოს არსებობის აუცილებლობა
გამოიკვეთა. თავმჯდომარის კანდი-
დატურა დასახელდა, იქვე ერთხმად
აირჩა და შეკრებილებმა ზემოთ ხსე-
ნებულ რუსულ რესტორან „ელე-
ფანტი“ გადავინაცვლეოთ, სადაც ამ
თარიღის აღსანიშნავად დაქირავე-
ბული დარბაზი, რუსული კერძები
და ჩინელი ოფიციატები ელოდ-
ნენ სტუმრებს.
სასაიამოო საღამო შესდგა, სად-
ღეგრძელოები ღვინითა და იქვე, ჩი-
ნეთის ერთ-ერთ პროვინციაში ჩა-
მოსხმული ქართული კონიაკით ის-
მეოდა. სტუმრები, ქართულ-ჩი-
ნური ოჯახები, ბიზნესმენები თუ
საელჩოს წარმომადგენლები თავი-

ანთ „ჩინურ გამოცდილებას“ უზი-
არებდნენ ერთმანეთს. „ჩიტები არაა
ამ ქვეყანაში, ჩიტები“ - თავის გუ-
ლისტკივილს წარმოთქვამდა ერ-
თი. „თუ ვინდათ განახებთ საიდან
მიდის საქონელი ლილოს ბაზრო-
ბაზე“ - გვთავაზობდა მეორე. „ქარ-
თველი გაგიყვება და საგიყვითში
წაიყვანეს, საქართველოში უნდა გა-
დაფუფინოთ“ - ჩიოდა ელჩი. და-
სასრულს ერთი-ორი ქართული სიმ-
ღერაც შეუკვეთეს, საეზიტო ბარა-
თებიც გაცვალეს, სათვისტომოს
სხვადასხვა წარმომადგენლებიც და-
სახელეს და დაიშლნენ ქართვე-
ლები, დიდ ჩინეთში მომავალი შეხ-
ვედრის იმედით.
მეორე დღის 8 საათზე საელ-
ჩოს მძღოლი სიაო იაო უკვე ჩინე-
თის ცნობილი კედლისაკენ მიაქე-
ნებდა მანქანას. საკმაოდ მზიარუ-
ლი ხალხი აღმოჩნდა ჩემი თანამ-
გზავრები. სიაო ჩინურად ბატონ-
საც და ქალბატონსაც ნიშნავსო,
გვისხსნდა ჩვენი ქართველი თანამ-
გზავრის ჩინელი მეუღლე, რომე-
ლიც მძღოლთან ურთიერთობაში
გვეხმარებოდა. ჩინურ კედელს ბე-
რი მისადგომი აქვსო, ფეხით გნე-
ბავთ ასვლა თუ საბაგირო გზითო
- გვეკითხებოდა. ყველას 6.350 კმ-
ის სიგრძის, მსოფლიოში ყველაზე
დიდი ნაკებობა წარმოვივადო თვალ-
წინ და ერთხმად საბაგირო გზაზე
დავთანხმდით. ჩემი თანამგზავრები
თავიანთ „ჩინური თავგადასავლე-
ბითა“ და ქვეყნის ამბებით არ მაწ-
ყენდნენ გზაში. ერთ ისტორიას
თქვენც გაიბოთ, თავად განსაჯეთ
სიმართლეა იგი თუ არა, გამოგიტ-
ყვებით, ამის დადგენა გამოვირდა.
„ეს ამბავი დიდი ხნის წინათ
მოხდა. ჩინეთის მთავრობას ბელუ-
რები „ქვეყნის მტრებად“ შეურაც-
ხია, გადაუწყვეტია რომ მათ ზიანი
მოაქვთ ბუნებისათვის, მათი გადა-
შენება განუზრანია და ამ საქმეში
მთელი ჩინეთის მოსახლეობა ჩაუ-
ბია. ბელურა დიდხანს ვერ დაფრი-
ნავს, იგი დრო და დრო უნდა ჩა-
მოჯდეს სადმე, თორემ მოკვდება“ -
განაგრძობდა თხრობას თანამგზა-
რი. „მთელი ჩინეთის მოსახლეობა
სახლებიდან გამოსულა, 2 საათის
განმავლობაში ჯამ-ჭურჭლებით ხმა-
ური აუტყვავთ, რათა ბელურები ში-
შით ვერსად ჩამოქვედარიყვენ... ასე
ამოწყვიტეს ჩინეთში ბელურები“.
სახეზე ეტყობა ცოტა უნდობლობა
შემეტყო. „დამიჯერეთ, ეს ყველა-
ფერი სახელმწიფო დონეზე ხდე-
ბოდა. ამის გამო ქვეყანაში უამრა-
ვი მწერი მომრავლდა. მიხვდნენ, რომ
დიდი შეცდომა ჩაიდინეს და შემდეგ
ბელურები კანადიდან შეისყიდეს“.
ერთ საათიანი გზა ძალზედ გაგ-
ვეჭიმა. როგორც ჩანს იმ შაბათ
დღეს რამოდენიმე მილიონმა მო-
სახლემ საკუთარი ქვეყნის სიამა-
ყის, დიდი კედლის მონახულება მო-
ისურვა, რის გამოც საგზაო მოძრა-
ობა რამოდენიმე საათით შეჩერდა.
იმ დღეს ჩინეთის კედელზე ვერ

მოგვხვდით...
**ძალაპი, რომელშიც
არ არის გზა**
პეკინი - ქალაქი, რომელიც „ყო-
ველთვის არა, მაგრამ ხშირად“ ჩი-
ნეთის დედაქალაქი იყო, სიდიდით
შანჰაის შემდეგ მეორეა ქვეყანაში.
ტურისტებისათვის ქალაქში გადა-
ადგილების საუკეთესო საშუალება
ტაქსია, რომლის ღირებულებაც ვე-
რობული ქვეყნების საქალაქო მგზავ-
რობის ტოლფასია. მთავარია მხო-
ლოდ მძღოლს გააგებინოთ სად
გსურთ წასვლა, ან შესაბამის მოსახ-
ვევში შესაბამისი ხელით მიანიშ-
ნოთ შეხვევა.
პეკინელების საამაყო ადგილი
(თუმცა კი ტაქსის მძღოლებისათ-
ვის მაინც რთულად ასახსნელი) -
„აკრძალული ქალაქია“. 723.633
კვადრატული მეტრის ნაგებობა, სი-
დიდით მსოფლიოს ყველა სამეფო
სასახლეს აღემატება. 500 წლის
განმავლობაში „აკრძალული ქალა-
ქი“ ჩინელ კაიზერთა დინასტიის
რეზიდენციას წარმოადგენდა. მისი
ყველა 9.999 თიანი ხისა და ქვი-
სვან არის ნაშენები და სისტემა-
რად განლაგებული. „აკრძალული
ქალაქი“, რომლის ტერიტორიაზეც
ჩვეულებრივ მოკვდავს ფენის დად-
გების უფლება არ ჰქონდა (აქედანვე
მიდის მისი სახელიც), 52 მეტრის
სიღრმის თხრილითა და 10 მეტ-
რის სიმაღლის გალავნითაა გარ-
შემორტყმული.
1911 წელს რევოლუციის შემ-
დეგ მიუხედავად ქინეთა დინასტი-
ის უკანასკნელი კაიზერის დამხო-
ბისა, მას და მის ოჯახს სასახლე-
ში დარჩენის ნება დართეს. რესპუბ-
ლიკელთა ჯარებმა კი, კაიზერის
შთამომავლები 1924 წელს საბო-
ლოდ განდევნეს ქალაქიდან და
იგი ყველასათვის მისაწვდომი მუ-
ზეუმად აქციეს. ყოველთვის ხალ-
ხმრავლობა ამ ოდესღაც წყნარ
სამფლობელოში, ფოტოაპარატებით
მომარაგებულებს თითქოს 500
წლის საიდუმლოების ამოხსნა
სურთ. ქალაქი-მუზეუმი სიგრძეში
960, ხოლო სიგანეში 750 მეტრია,
ასე რომ, ვისაც აქაურობის მონა-
ხულება გსურთ, გირჩევთ სპორტუ-
ლი ფესსაცმლით მოზრძანდეთ.
თუკი ზემოთქმული ფართობის
გადალახვას შესძლებთ, „აკრძალუ-
ლი ქალაქის“ სამხრეთით პეკინის
ცენტრს - ზეცური მშვიდობის ანუ
ტიანანმენის, მსოფლიოს ყველაზე
დიდი (40 ჰექტარიან) მოედანს მიაღ-
ვებით. ხუმრობა ხომ არ არის, მრ-
ავალი ისტორიულ თარიღთა მემ-
ტანე მოედანი მილიონ კაცს იტყეს!
დღეგდღობით მოედანი 1989 წლის
4 ივნისის მოვინებლად რჩება მო-
სახლეობაში, იმ სისხლიანი დღისა,
როდესაც მშვიდობიან დემონსტრა-
ციასა და დემოკრატიის ლოზუნ-
გებს ათასობით სტუმრები შეეწირა.
ტიანანმენის მოედნის შუაგულ-
ში სახალხო გმირთათვის მიძღვი-
ლი ძეგლია. მათ მოსაგონებლად,



ვინც მთავრობაში კომუნისტების მოსვლამდე, ჩინეთის დამოუკიდებლობისათვის ურიცხვ ბრძოლებში თავი გასწირეს. ამ ძველის საძირკველში პირველმა მათ ძედუნმა მოაქცია თურმე ქვა, თანაც მხოლოდ ერთი დღით ადრე, ვიდრე ჩინეთი სახალხო რესპუბლიკად გამოცხადდებოდა. ამორჩეული ადგილმდებარეობით, ეს 40 მეტრის ობელისკი, რომლის მშენებლობაც 10.000 ტონა ქვა იქნა გამოყენებული, ძველ ფეოდალურ წარსულთან გამომშვიდობების სიმბოლოა.

მაო ძედუნს ვახსენებ და აგერა იგიც - ტიანანმენის კარიბჭეზე ოქროსფერ ჩარჩოში ჩასხული თუ იქვე, მოპირდაპირე მხარეს - მავზოლეუმში განსვენებული. ვიდრე მისთვის თვალის შევხვდებოდი ნებას დავრთავდნენ, ჩანთებისა და ფოტოაპარატების ჩაბარება და, რაღა თქმა უნდა, რიგში დგომა მოგიწევთ. ერთხელ შევცდი და ლენინის მავზოლეუმში შევატყუებინე თავი ექსკურსიამდლოდ მოხუც ქალბატონს. ჩემს უკან, მასხოვს, ახალგაზრდა კაცი იდგა: „ერთი ის ადამიანი მანახეთ მთელი ბავშვობა რომ ჩამიძწარაო“. მიმიხედვებოდი თავად, ეს ამბავი 90-იანი წლების დასასრულს იყო, აბა მანამდე ასეთ ხალხმრავალ ადგილას კი არა, საკუთარ საძინებელში განმარტოებულად ვერავინ გაბედავა მსგავსი რამის თქმას. სიტყვა გამიგრძობდა... მოკვლევ ამ ჯერად ვერც დიდი მათ ნახვის ცდუნებამ მძლია და ვერც ჩინელი ექსკურსიამდლოდის მოსმენის სურვილმა.

აზიური ბაზრობების სახელი დიდადა განთქმული მთელს მსოფლიოში. მართალია ვაჭრობის ხელოვნებას ნელ-ნელა ვეროპული ქვეყნებიც სწავლობენ, მაგრამ დაოსტატებამდე, როგორც ჩინეთში დავრწმუნდი, ჯერ კიდევ ბევრი უკლიათ. „ათი პროცენტი დავაკლებინეო“ უხაროდ აპირიკვლევს. „ფასს რომ გეტყვიან, იმის ნახევარი უნდა შესთავაზო“ - ასწავლიდნენ ერთიერთს გერმანელები. „გამოცდილი“ ქართველები, კი დასახლებული ფასის მეოთხედად იძენენ ყველაფერს: „ამასაც თავისი ტექნიკა აქვს. შენი ფასი შესთავაზე და შორი-ახლოს დადექი, თითქოს უკვე წასვლას აპირებ და აუცილებლად დაგიღებებია“. იმ შემთხვევისათვის კი, თუ დადევნებულ გამყიდველს ვეღარ იცილებთ, ჩინური ორი სიტყვა უნ-

და ისწავლოთ „ბუ იაო“ - „არ მინდა“. არა მგონია, ეს უარი ახე-ვინებდეთ მათ უკან, უბრალოდ ტურისტის მიერ წარმოთქმული ეს ორი ჩინური სიტყვა იმდენად ახალისებთ, რომ ისიც კი ავიწყდებოდა, რომელი საქონლის გასაღებას ლა-მოზდნენ. ვერც ვესტების ენით „წახვალთ შორს“ ჩინეთის ბაზრობებზე - ჩვენებური ორი გაშლილი მტევ-ნის ნაცვლად, ისინი ერთი შეკრუ-ლი მუჭით განიშნებენ „10“-ზე, „9“-კი მუჭითა და მოლუნული საჩვენებელი თითით აღინიშნება და ა.შ. ისევე მცირედნი ჩინურის სწავ-ლა მოგიწევთ, რაც, როგორც აქ მც-ხოვრები უცხოელები გვაჯერებენ, რთული სულაც არ უნდა იყოს, მითუმეტეს, როცა ზმნას არც პი-რის და არც რიცხვის ნიშნები გააჩნია. სირთულე „მხოლოდ“ ამ უპირო და ურცხვო ზმნების მარ-თებულ გამოთქმაში მდგომარეობს. „ნი პაო“ - ესალმებთან ერთმანეთს ჩინელები, ეს სწორედ ის აუცილე-ბელი მცირედაა (რათქმუნდა, ჭა-მას ანუ „ჩუ“-ს თუ არ ჩავთვლით, თანაც ფრთხილად, თორემ „ჯუ“- უკვე სულ სხვა რამეა) ყველა აქ ჩამოსულმა რომ უნდა იცოდეს. მოხ-ვედებით ჩინეთში - აუცილებლად ესტუმრეთ აქურ ბაზრობებს, სა-დაც ადგილზევე დამზადებულ „დო-ლჩე გაბანას“ და „გუჩის“, „არმა-ნისა“ და „კარდენის“ ნებისმიერ საგანსა თუ სამოსს შემოთავაზებ-ბენ და თქვენი შესაბამისი ზომის იარღისყვაც ორიოდ წუთში, თანაც იქვე, ფარდის უკან მიგიკრებენ.

საღამოდება დიდ ქალაქში, თუქ-ცა ამას ვერც ჩამოინდებთ და ვერც მზის ჩასვლას შეგწყობთ, ისე-ვე როგორც მზის ამოსვლით ვერ შეიგრძნობთ ჰეიშიმ ახალი დღის დაბადებას. სმოგით დაფარული და დაბინძურებული ქალაქის ბინადარნი მზეს ვერ ხედავენ, ისევე როგორც ვერ ხედავენ ცის სილურჯეს და, როგორც ამბობენ, ჩიტებს...

დიდი კმეფი - ნაგებობა, რომელიც კოსმოსიდანაც კი ჩანს

სიათ იაო უკვე მესამედ დააღვა-ჭვენიის დიდი საოცრებისაკენ მიმ-ავალ გზას. კედლის სიდადეს მაშინ შეიგრძნობ, შენი ფეხით რომ ახვალ ზელო აგვისსნეს მასპინძლებმა, ის კი ვერ გვითხრეს, რა მიზნით შენ-დებოდა იგი.

ჩინეთის კედელი კაცის ხელით



აგებული ერთადერთი სასაზღვრო ხაზია, შეუარაღებელი თვლით რომ დინახავ თურმე კოსმოსიდან. ჩვენს წ.ა.დ.მე-5 საუკუნეში დაწყებული ნაგებობის მშენებლობა მე-16 საუ-კუნეში დასრულდა მხოლოდ. დღეს-დღეობით შემორჩენილი ნაწილები რომ გადააბათი, ნიუ-იორკიდან ლოს-ანჯელესამდე გასტანს, მისი ქვები-საგან ხუთი მეტრის სიმაღლისა და ერთი მეტრი სიღრმის აშენებუ-ლი გალავანი კი თვით დედაქალაქის გარშემოწერილობაზე მეტი იქნე-ბოდა. რაც უფრო მაღლა მიდინარ, მით უფრო რთულდება გზა, ციკა-ბო აღმართიდან უცებ სახიფათო დაღმართად იქცევა კედელი, მიუბ-ს ეფარება და ისევე ჩნდება, წარმოუ-დგენელ სიგრძეზე იჭიმება და სად-ღაც შორეთში იკარგება.

რომ მთლად არ გადაიღალოთ თითოეულ გალავანთან გასართობი საშუალებები, უკეთ რომ ვთქვათ, „ფულის მახეები“ გელით. გენბავთ აქლემთან გადაგიღებენ სურათს, გენ-ბავთ ჩინურ ნაციონალურ ტანისა-მოსს ჩაგაცმევინ, თქვენს სახელს ამოტვიფრავენ მედალიონზე ან სუ-ლატ სერტიფიკატს მოგცემენ, იმის დასტურად, რომ ჩინეთის დიდ კე-დელზე იყავით (ეგებ ამ უკანასკნე-ლის გამო მაინც არ გამიწყრეთ, ამ

გასართობებს „ფულის მახე“ რომ ვუწოდებ). თუკი აევროპული გარე-გნობისა“ ბრძანდებით და თმის ღია ფერიც გიწყობთ ხელს, თავადაც „ფოტოდეკორაციად“ იქცევით და დროულად თუ არ დააღწიეთ თავი (ან ჩინელმა თანამგზავრმა თუ არ დაცხნათ) ნახვევარ დღეს დიმილსა და პოზირებაში გაატარებთ.

უფრო მონღოლებისაგან თავის დასაცავად, ხალხის დასასაქმებლად თუ რაიმე სხვა მიზნით აგებულ კედელს, გაოცება (ამავე დროს ში-ში) და აღტაცება გიპყრობს, თუნ-დაც მხოლოდ იმაზე ფიქრის გამო, რომ ყოველივე ეს ადამიანის ხე-ლითაა შექმნილი. ქალაქიდან 70-80 კილომეტრით მოშორებული კედ-ლიდან უღამაზესი ბუნება გემლე-ბა წინ, აქედან მზეც კი სჩანს...

საელჩოში შეპირებული ავეჯი მოიტანეს, თქვენმა ამდენი ხნის მეგზურმა ჩინური ჯოხების გამო-ყენებაც ვისწავლე და ტაქსის მძლო-ლისათვის სახლის გზის მიწინე-ბაც. ეს ყველაფერი კი იმას ნიშ-ნავს, რომ ნელ-ნელა ჩინეთის და-ტოვების დროც ახლოვდება, ქვეყ-ნისა, რომელიც დაუჯერებლად სწრა-ფი განვითარების ფაზაშია. „ესენი ბრძოლით არა, ესენი სხვა გზით

დაიპყრობენ მსოფლიოს“ - ამბო-ბენ ჩინეთში მცხოვრები სხვა ერის შვილები.

დაბინძურებულ ქუჩებს, სამანქა-ნო გზის გაყოლებაზე საჭმლის მომზადებულ მცხოვრებლებს, შიშ-ველი ხელით ნაგვის გადამრჩევ მუ-შაკებს, დახეული ტანსაცმლით ფეხ-შიშველად მოსიარულე ბავშვებს, უახლესი ჰოლივუდის ფილმების თითო დოლარად გამყიდველებს, მუ-ყაოთი ნაშენებ ბარაკებს, ნაციონა-ლური მძაფრი სუნელებით გაუდენ-თილ ჰაერს ცვლის სულ რაღაც უკანასკნელ 20 წელიწადში აღმო-ცენებული უდიდესი მოვლილი სა-ვაჭრო სახლები, ცათამბრჯენები, მსოფლიოში წამყვანი ფირმების წარმომადგენლები, დამით განა-თებული რეკლამები, ტურისტული უბნები და ჩინელებისათვის საყვა-რელი „კარაოკე-ბარები“. ბარიდან გამოსულებს ცოტა სიმაჯვე გმარ-თებთ, რათა თვენს მიერ გაჩერებულ ტაქსში უცებ თქვენს შემდეგ მო-სულმა ჩინელმა არ ამოყოს თავი. „სხვისი შვილები არ კვლებიანო“ - ანუ ჩვენებურად „ჯერ თავო და თავოო“, არის ძველი ჩინური ანდა-ზა და, როგორც ჩანს, ჩინური ცხოვ-რების ახალი ფილოსოფია.


სად არის სხვაგან ახალი...	ყვითლ-ლას შენაკადი	მიდა-მო, ანუ ...	დამ-ჯდა-რია	ნანა, ვარდო ნანა	ქალაქი ფინე-თში	დისტალუ-რის სამი-რისპირო	გიორგი დანელიას ფილმი		მდინარე დასავლეთი ციბორში
ცუდი ნიშანი	ინდური ვოლ-უტა	XV-ის ფეოდალი	...	ცხოველის სადგომი მიწაში	მუმლი მუხსაო, ...	სრაპუნა პური
აკაკის ლექსი	განდი	ლუი ფეოდალი
ქართული ლული	შლიმა-ნის აღმოჩე-ნილი	კარგი ცნები	ქვეყანა სამხრეთ ამერი-კაში	გოგრი-სებრთა ოჯახის, ბალჩეული კულტურა	ვენი-ტას	სნვა მდებ-რე	...	მდინა-რე კახე-თში	...
ციხისი-ბურჯი	ქართ-ველი რეფი-სორი	...	სიგრძის ფრა-გული სახომი	...	რუსი დრამატურგი
ბრწ-ყინვა-ლე	...	ვი-ვიენ	კილო-მეტრი	მრნამსი, მსოფლ-მხედვე-ლობა
...	კრივის მსოფლიო ორგანი-ზაცია
გულყვი-თელა მგალობე-ლი ფრინველი	შოის ფსევ-დონიმი
...	ლეგენდარული მოკრივე
...
ძველ რომში: მოხელე, რომელიც განაგებდა უმთავრესად გადასახედების აკრეფას ხაზინისათვის



ჩანი ვაჩო ქართვალაბი?

გურამ კებრიაშვილის ნერილები უკრაინიდან

ვაქვანეთი სამოხლოს უზომოდ მონატრებული კაცის
რამდენიმე მინიატურას, რომლებიც ეს-ესაა მიიღო რადაქსიამ.



მოხაზული

ეს მოხდა 1968 წლის შემოდგომაზე. იმ დღეს პირველად შევედი ფეხი კინოსტუდიის ეზოში.

ერთ-ერთი ფილმის გადაღება ჯგუფში მივდიოდი. რეჟისორის თანამემწედ უნდა შემეღებოდა.

მაშინ კინოსტუდია პლენხანოვის, ანუ ახლანდელ დავით აღმაშენებლის პროსპექტზე იყო. მერე დიდი მასივში გადავიწიე. დიდიმასის „ახალი კინოსტუდია“ შეიქმნა, პლენხანოვის პროსპექტისას კი — „ქველი“.

ეზოში შემეღებოდა დარაჯმა ამხსნა, თუ როგორ მომეძებნა ის გადაღებები ჯგუფი.

მივდივარ... უცებ დავიხანხე სოკო-შადრევანი. ახლანდელმა ახალგაზრდებმა შეიძლება არც ეს სიტყვა იცინოდან არც ის, თუ რას აღნიშნავს იგი.

მაშინ კი მთელ თბილისში იყო მიმობნეული სოკო-შადრევანები. მოგწყურებდნენ და მინვიდობი მასთან.

ეს იყო მარმარილოს, გრანიტის ან უბრალო ქვის პატარა სვეტი, მოზრდილ ადამიანს წელამდე რომ მოსწვდებოდა. ზემოდან გადაბრუნებული ქუდივითაა ჰქონდა და იმ „ქუდის“ მუყაუს ამოწვრილ-ამოკრიბებდა პაწაა ჰვალის.

დაეწყებოდა და მოიკლავდი წყურვილს...

ზოგად, დავიხანხე სოკო-შადრევანი... მაშინლა ვიგრძენი, რომ თურმე ძალიან განვიცდიდი „კინოში მისვლას“. ხუმრობაა განა?! ბავშვობიდან ვიცნობდები კინოს სამყაროზე. ისე მომწყურდა, როგორც არასდროს.

მოკლედ, უსაშველოდ ველევადი. ჩემამდე ვიღაც კაცი დაეწავა ჰავალს. ისე მომეჩვენა, რომ ნახევარ საათს არ აუწყებია თავი.

ვდგავარ შორი-ახლო და ველოდე...

როგორც იქნა, მოიკლა წყურვილი და წავიდა.

მივედი, დავიხანხე და... უცებ გაიშა შემზარავი ყვირილი. — არ დალიო ვე წყალი!

ვაპ, ეს რაღა უბედურებაა-მეთქი და მიმოვიხედე.

გხვდავ, ჩემგან ასე ორმოცი მეტრის დაშორებით დგას ვიღაც ჰარმაგი და სანდომიანი კაცი.

ძალიან უცნაური გამოეტყველება ჰქონდა: თითქოს მრისხანე იყო, მაგრამ თან იღიმოდა.

წელი ნელა გავმართე დაბნეულმა და ჩუმად ვკითხე: — რატომ?

— მოწამლულია! — ისევე ხმაბლად დამივიტა.

— აგერ ახლა არ დალია იმან? — კაცი ჩუმად გამოემართა ჩემკენ. გზადაგზა გამოემტყველება ეცვლეზოდა.

ჩემგან ათ-თხუთმეტრ მეტრზე შეჩერდა.

ახლა იგი კეთილად მოდიმართა იყო. და როგორც სვედიანად, ჩუმად მიითხრა: — მოწამლულია, შეილო, ეგ წყალი, ვინც მავას დაღვეს, ვეღარასოდეს წავა კინოდან.

მერე შებრუნდა და წავიდა. გაინტერესებთ, რა გქვინი? დაველიე, რასაკვირველია. მე ხომ თვით მოვისწრაფოდი ამ იღუმელი

სამყაროსაკენ. კაცი მართალი გამოდგა. თუკი ერთხელ მაინც მიიღებ მონაწილეობას იმ უცნაურ დავიდარებაში, რომელსაც ფილმის გადაღება ჰქვია და მერე ეკრანზე ნახავ დავიდარების შედეგს, ჩრდილებსა თუ აზრილების ლამაზ ცეკვას (ესაა კინო!), მთელი სიცოცხლე კინოს სამყაროს ერთგული დარჩები.

ოღონდ ახლა კინოზე კი არა, იმ კაცზე ვყვები ამბავს. მერე რამდენჯერმე ვნახე და ყოველთვის იმავე სოკო-შადრევანის ახლომხლოს.

იქ ცალ მხარეს „ქართული ფილმის“ კინოდარბაზი იყო, მეორე მხარეს კი — დოკუმენტური ფილმების სტუდია.

ალბათ ან ერთგან მუშაობდა, ან მეორეგან.

ხან მართო იყო, ხან სხვებთან ერთად.

ყოველთვის სევდიანი ჰქონდა სახე.

ნეტავი თუ არის ისეთი არქივი, რომელიც ინახავს ქართველ კინომუშაკთა ფოტოებს. თუნდ ერთი თვე დამჭირდეს, ჩავუჯღერებდი იმ არქივის და გავიგებდი იმ კაცის სახელსა და გვარს.

რატომ მინდა, ვიცოდე მისი ვინაობა?

იგი იყო ერთ-ერთი ჭეშმარიტი ნიმუში იმისა, რომ ქართველის მთავარი თვისება სილამაზისკენ სწრაფვაა. ვთქვათ, რომელიღაც ამერიკელს მისვლოდა თავში აზრი, რომ კინოს სამყარო ძალიან მიმზიდველია და თუ ადამიანი ერთხელ მოხვდა იქ, მიინდობდას სამუდამოდ იქვე დარჩენას. ამერიკელი ამ აზრს მაშინვე და-

ბეჭდავდა ან გამოაქვეყნებდა რადიოთი ან ტელევიზიით.

ქართველი სხვანაირია. მისთვის აზრი მხოლოდ მაშინ იძენს ღირებულებას, როცა ის აზრი როგორღაც შეერწყმება სილამაზის სამყაროს.

როცა იმ სევდიან კაცს ცნობიერებაში გაუერთა აზრი კინოსამყაროს მომწესველობის თაობაზე, მისთვის დიდი ყურადღება არ მიუქცევია.

მაგრამ, აი, ცხოვრებამ თუ განგებამ შექმნა ასეთი ვითარება: დგას ის კაცი და ჰხვდავს, რომ მთელი ვიღაც ახალგაზრდა, რომელსაც აშკარად ეტყობა, რომ პირველია კინოსტუდიაში. უცქერს ახალგაზრდას. და უცებ იგრძნობს, რომ ახალგაზრდას სურს, წყალი დალიოს... საამო ელვა გაანათებს კაცის სულსა და გულს.

ელვის ერთი ხანჯლისებური ბოლო იმ აზრს მონახავს მესხიერებაში, ხოლო მეორე ბოლო სოკო-შადრევანს დაეძვრება...

გაბრწყინდება ჰავალი... და წარმოიშობა პატარა, მაგრამ ლამაზი სვეტიკალი:


— არ დალიო!

— რატომ?

— იმიტომ, რომ მოწამლულია ეგ წყალი!

აი, ასეთები ვართ! კარგია ეს თუ ცუდი? მე გგონია, კარგია.

ხოლო ვისაც ცუდი ჰგონია, იმას, როგორც ზვიდი იტყოდა, ვარდი ჰფენია გზაზე. თავი დაგვანებოს, ბატონო, მოგვმორდეს და ნულარ გავეკარება. თუ როდისმე მოვენატრებით, მისთვისვე იქნება კარგი. თუ არა და... ყველას თავისი გზით გაუმარჯოს!



მასხეთი...

ახლა ძალიან მოკლე, მაგრამ მრავლისმთქმელი ამბავი მინდა, მოგიყვებ.

ამბავი მესხეთში მოხდა. ფილმის გადაღებები ჯგუფი მორიგი ეპიზოდის გადასაღებად ემზადებოდა.

გრიმიორები მსახიობებს დასტორიალებდნენ თავს, ოპერატორი და მისი ასისტენტები — კინოკამერას. ფილმის მხატვარი მეკოსტუმე ქალს რაღაცას ედავებოდა...

ასეთ დროს ზოგი რეჟისორი გადაღების მოდინაზე ტრიალებს და ყველაფერში ერევა, ზოგი კი მშვიდად დგას განზე, რადგან ენდობა თავის ჯგუფს.

იმ ფილმის რეჟისორი რეზო ჩხეიძე იყო. მე ეპიზოდური როლის სათამაშოდ ვყავდი მიწვეული... ბატონ რეზოს ძალიან დიდი ხანი,

ვიცნობ.

როცა კი გვისაუბრია, ყოველთვის სასიამოვნო შეგრძნება დამჩენია, რადგან მის სიტყვებში მულამ იგულისხმება არა „მე, რეზო ჩხეიძე“, არამედ — „ჩვენ, ქართველები“...

ახლაც საამო საუბარი გვქონდა. თან მივდიოდით... კაი მანძილით დავმორღით ჯგუფს. შეჩერდით.

კიდევ რამდენიმე წინადადება ითქვა და გაჩუმდით... ეს ასე მოხდა: ლაპარაკისას ბატონი რეზოს მზერა ნეობამ მიიპყრო.

თან ხეობას უცქეროდა, თან ისე განაგრძობდა საუბარს.

მერე გაჩუმდა და მეც გაჩუმდი. ვიდექით მესხეთის მიწაზე... ახლა მეც ხეობას ვუცქეროდი. ბატონი რეზო ხანდახან თვალს მოსწყვეტდა ხეობას და აქით, გორა-

ჩემო უსაქე და ყვავი



სილამაზის დანახვაში მსოფლიო კონკურსი რომ იყოს დაწესებული, დარწმუნებული ვარ, ყოველ წელს ჩემპიონი თუ ვერ განდება, პრიზიორი ყოველთვის იქნება რეზო ესაქე.

თუ ვინმეს შემოქმედებას აგნო მტაცებლური კაპიტალიზმის ეპოქამ საქართველოში, ალბათ, ყველაზე მეტად სწორედ რეზოს, როგორც კინორეჟისორს. საშუალება რომ ჰქონდეს, ეს კაცი წელიწადში სამ ფილმს გადაიღებდა, თანაც სულ ნაირ-ნაირებს... მადლობა დემროს, ლექსების წერას და ხატვას რომ არა სჭირდება ბევრი ფული...

ახლა მინდა მოგიყვებ, თუ რა მიამბო რეზომ ერთხელ (ალბათ, არ მიწყენს, თუ რაიმე გამომჩინებ ან უნებლიეთ წავიმატებ):

— მივდივარ მატარებლით. ზამთარია. ირგვლივ არსაით არაფერი ჩანს დათოვლილი რუსული ველების გარდა.

უცებ მატარებელმა სვლას უკლო და ბოლოს გაჩერდა კიდეც.

გამოვივცხადე, სამ საათს მაინც მოგვიწევს ამ ველზე დგომა.

რა უნდა მექნა?

სამ საათს კუბეში ხომ ვერ ვივადებოდი გაუნძრევლად.

ჩავიჯვარი თბილად და ჩამოვედი მატარებლიდან.

მართო მინდოდა, ვყოფილიყავი, ამიტომ სხვა მეზარებისთვის სიტყვა-ც არ მითქვამს, ისე ვავედი მატარებლის ბოლოსკენ.

კაი დიდი მანძილით გავეცი ბოლო ვაგონს.

ვდგავარ ჩემთვის და ვვიქრობ. უცებ დავიხანხე, რომ მატარებელს ყვავება გადმოუფერინა.

— მადლობა დემროს, ამ მოსაბეზრებელ ერთფეროვნებაში ერთი წერტილი მაინც რომ გაჩნდა სხვანაირი-მეთქი, — ვიფიქრე ასე და ისევე ჩავფიქრდი.

ფიქრებში ჩემთვის... და უცებ, თითქოს ყოვლად უმიზეზოდ, მატარებლის მხარეს გავიხედე, არც ხმაური გამოგია რამ, არც მუქი გამკრთალა, უბრალოდ, ვიგრძენი, რომ უნდა გამეხედა.

და რასა ვხვდავ: ის ყვავი მოაბიჯებს რელსზე!

მოდის შავბალტოიანი პატარა კაცივით. ერთი ეგაა, შავი შლაპა-ლა აკლია, მოდის დინჯად. თავი სულ ოდნავ გადაუსრია გვერდზე.

ეტყობა, ისიც რაღაც თავისასა ფიქრობს.

ასე ოც მეტრზე რომ მომიხლოვ-

და, შემამჩნია. ფიქრებიდან გამოერკვა. დამაკრია. სვლა არ შეუწყვეტია. მოდის და მიცქერის. თავი შეუბრუნებია და მიყურებს ცალი თვალით.

რა უნდა მექნა? მეც მივაშტერდი... არ ვიცი, ჩემმა მზერამ დააბნია თუ რა იყო, მორიგი ნაბიჯი რომ გადმოდგა, რელსზე ფეხი აუცდა...

გული ისე შემეხტა, თითქოს დიდი სიმალიდან უნდა გადმოვარდნილიყო...

მან ფრთები ისე დაიქნია, როგორც ადამიანი დაიქნევიდა ხელეზს მის მდგომარეობაში.

ერთი კი გადაიხარა, თითქოს აი, ახლა ჩამოვარდებაო, მაგრამ შეიმდგრა თავი.

— უპ, — ამოვიყუთე თქვეთი. იმან კი განაგრძო თავისი სვლა. ოღონდ ახლა აღარ მიყურებდა. რომ მომიხლოვდა, ხმაბლად შეეცახებ: — გამარჯობა, პატივცემულო ყვავო!

მან ყურადღება არ მომაქცია. სულ რაღაც ორ მეტრში ჩამიარა. თან თავი ისე ეჭირა, თითქოს ის იყო კაცი, მე კი — რომელიღაც არცთუ დიდი ფრინველი.

იქნებ ჩემდამი მისი ხაზგასმულია ქედმალური დამოკიდებულების მიზეზი ის იყო, რომ კინალამ მისი მარცხის მოწვევ გაგვს?

აბა, რას გაუგებ ყვავს... ჩამიარა და წავიდა ჰორიზონტისკენ.

მიდიოდა დინჯად და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ღირსეულად.

ვუცქეროდი, ვიდექე არ ჩაინთქა სითეთრეში...

აი, ასეთია რეზო ესაქე. აი, ამეუბნითა აქვს სავესე თავიც და გულიც. ვიცი, ვინმე აუცილებლად მკითხავს: მენ რა, მართლა დაიჭირე ეგ ამბავი? როგორ ვერ მიხვდი, რომ თვითონ გამოივანო.

იმ ვინმეს ასე ვთბასულებ.

ჯერ ერთი, განა ვითხარით, რეზო ესაქის ყოველი სიტყვა თამარ მეფის ბეჭედივითაა და წყალი არ გაუფავა-მეთქი? მე ის ვითხარით, რეზო სილამაზის დანახვაში რომა ჩემპიონი.

მეორეც. არ იქნება სწორი, თუ იმ ყინვიანი, სუდარისფერი ველის თაობაზე მხოლოდ ამას ვიტყვით: ველი იყო უკიდევანო და მთლად, მთლად თეთრიო. არა, ბატონო, სიმათლე ისაა, რომ უსიცოცხლო, გაყინულმა ველმა ცი უცებ შეიძლება დაბალოს სიცოცხლე, თუნდაც იმ სერიოზული ყვავის სახით.

ამ სიმათლეშია სილამაზეც. და ეს შეიძლოა დაენახა მხოლოდ რეზო ესაქეს.

KAVCAS EXPRESS

გადაზიდვაში



საჰაერო

- აშშ-დან საქართველოში კილოგრამი - \$6.7
- საქართველოდან აშშ-ში კილოგრამი \$8

ნებისმიერი დოკუმენტაციისა და მასალის თარგმნა და ნოტარიზირება



ვიზიტით ახლოკლას რვენი ვეუვეროვით

ქორწილი, დაბადების დღე, ძეობა, დღესასწაული...

აშშ: 1(201)333-2200
თბილისი: (995) 32 952-609
ბათუმი: (995) 99 491-992



საზღვაო

აშშ-დან საქართველოში კგ - \$4

www.gezi.us
www.carbycar.com

იყიდება ურეკში 2-სართულიანი სახლი 11 ოთახით, 800მ² ნაკვეთით, ზღვიდან 300 მ-ის მოშორებით, ე.წ. ივანიშვილის ზოლში. ფასი 36.000\$. შეთანხმება შესაძლებელია. ტელ: (+995) 99 14-27-35 ან (+995) 34 15-34-31, ელზა

ჩვენი გაზეთის მეგობარს, პაატა შუბლაძესა და ნინო ნინუას ვულოცავთ დაქორწინებას. შეილთა სიმრავლესა და ბედნიერ მომავალს ვუსურვებთ.
რამდამცია

დავით და ლულა შაქარაშვილები თანავრძობას უცხადებენ ნელი ველაშვილს დედის ვარდაცვალების გამო

ვარ კვალიფიციური სპეციალისტი. მოვამზადებ ინგლისურ ენაში ნებისმიერი ასაკისა და დონის მსურველებს. მარინა გეგელაშვილი (ტ.631-276-6864)

მანუჩარ კაჭახიძის სალონი-კლუბი „ფესვები“ აცხადებს
კონკურს
მუსიკალური და თეატრალური ნიჭის მქონე პირების გამოსავლენად. დაწვრილებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 347-724-0770

თამბრიტი
დამბრითაშვილი

მგირა
ბგირიტაშვილი

ყალბი კვლავი:

მუსიკის, იუმორისა და ჟანპანესიის მხაფეფში

Millenium Theatre:
ბილეთები: 347-528-0037;
718-872-6431; 718-450-7266

5 თებერვბადს
კვირბას. 14.00 სთ.





4 მანქტს.
შემატბტს. 19.00 სტ.
12 მანქტს.
კვტტტს. 14.00 სტ.



მეგობრული მშენებელი ანტიკვანტინა



**თქუნი თქუნი, ნუზუნი ზუზუნი,
ზუსუნს თუსთუნი, ანესი თთესი,
ქანესუნესი ზუსუნესი...**



Millenium Theatre: ბილეთები: www.russianNY.com
347-528-0037; 718-615-1500; 347-451-9435.

ერთადერთი ქართული გაზეთი შემართებულ შტატებში

რედაქტორ-გამომცემელი მანუჩარ კატახიძე
EDITOR & PUBLISHER MANUCHAR KATCHAKHIDZE

ტურთან ჰელანზე
თუ ვერძეუელა არ გუყვარე, რა...

მამული

Phone: 347-724-0770
mamuli@comcast.net

P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07303

საქართველოში
დასავალი

სამართლებლოში „მამული“ ფარმოვლებს
საგამომცემლო სახლი „საქავალ-დასავალი“
ლუზა ნადარეიშვილის პატრონაჟით

ქოსტავას 14, V სართული,
თბილისი, 0108
ტელეფონი: 98-97-21